

# სამეგრელო

№9 (46) 1.09.2016 - 1.10.2016

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

**ღვთისმშობლის**



2

**ბანათლავის  
სისტემის  
უესახებ**



9

**აღექსნდრა  
ჯეჯელავა**

**4**



**გია  
კალანდარიშვილის  
კვლევებზე**

**ვიგალი  
ყუკაშვილი  
გზა**



12

**უკვდავებისათვის**

**36**



**ედიშარ  
თოლოკაია**

**"ჩვენი ყველა  
მოქმედება  
ხანძარსა და მათ  
ინტენსივობას  
იყო მოხიბვლილი"**

**გიგლიური  
ნარკოტრადიციის  
გვარები  
ნორკოტრადიციის  
რაიონში**



14

**„კურსიგადიანური“  
საერთაშორისო  
ფესტივალი**



**გოგოლის  
უთამოშავალი  
ჭაღადიღვი**



18

ISSN 1987-8524

**მეგრეთის სპ**

**სრულიად საქართველოს სწავლება**



7 771987852005





**სოპის  
მუნიციპალიტეტის  
ნინოვა განული  
ღვანელისთვის,  
მერი აბრამიას  
სოპის საპატიო  
მოქალაქის  
წოდება მიენიჭა**

## **გივი სიხარულიძის წიგნის წარდგანა შვეიცარიაში**

**სიასლა**

მუიციანთაში ქალაქ ლუგანოში გაიმართა გივი სიხარულიძის თრანსგულად წათარგმნი წიგნის „აწყურცილი სიციცსლა“ წარდგანა. მესურდრამ თმულ აცმისთურმში ჩაიარა, ისე, რთგმრც თაუმუკაუმულ მუიციანთულ აღამიანრუმს უკადრუმათ, რადგან იმ მრთ პირმურუმის გარდა, უინც ეს მესურდრა მთაწყა, წიგნი წაკითხული არავის ჰქმნდა. მესურდრას დასლთუმით მრმმცდრათამდე აღამიანი უსწრუმდა. მწრალმა ისინი თრანსგულ და რუსულ უნატი გამმცრუმული საკუთარი წიგნუმით დასსარქდა. მუმრე დღეს მწრლის სასასულად უნდა ითქვას, რმ წაკითხულით აღმრთმურმული ეს თაუმუკაუმული ინცილიგუნცია მწრალს მმმლურთ ცულუმით უკაუმირდუმდუნ, მესურდრას და სამსსმურთ ავცტგრათუმს სთსმურუნ.



# სარჩევნი

- ღვთისმშობლობა .....3
- ნინო რეხვიაშვილი
  - გიორგი კალანდარიშვილის ცხოვრების კვალდაკვალ .....4
- ანა ცხოვრებოვა
  - ალექსანდრე ჯეჯელავა განათლების სისტემის შესახებ..... 8
- რამინ ახალაია
  - ბიბლიური წარმოშობის გვარები ჩხორონწყუს რაიონში .....11
- ნინო რეხვიაშვილი
  - ვიტალი ყურაშვილი — გზა უკვდავებისაკენ .....14
- როდიონ ქორქია
  - მართალი ხალხის ამბავი .....16
- ეტერ მატუა .....18
- მაიკო აფხაზავა
  - ლეგენდები, ფაქტები, შემზარავი ისტორიები .....20
- ლერი ქვარცხავა.
  - საინტერესო ისტორია გალოგრების გვარის შესახებ .....22
- გივი ელიავა
  - უძველესი მეტალურგიული წარმოების ისტორიისათვის  
სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში .....25
- მზია მაისურაძე
  - მარადიული მოძრაობის სიმბოლოები ..... 27
- ტიტე მოსია
  - ადამიანისა და სამყაროს სიყვარულში .....28
- შელოცვები მეგრულად .....31
- თეა გრიგოლია
  - ორგზის გრან-პრის მფლობელი, სენაკის ბავშვთა სახალხო  
ქორეოგრაფიული ანსამბლი „კუჩხიბედიწერი“, საერთაშორისო  
ფესტივალზე საქართველოს წარმოდგენდა .....32
- ივეტა წითაშვილის გულის მონაწერი ფრაზები ..... 34
- ზუგდიდი სრულიად საქართველოს ამცნობს .....36
- ქალაქ ზუგდიდის მერია ხალხის სამსახურში .....38
- გური ოტობაია .....40



ტიბა მოსია  
ადამიანისა და სა-  
მყაროს სიყვარულში

28



ივეტა წითაშვილის  
გულის  
მონაწერი ფრაზები

34



გური  
ოტობაია

40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რეხვიაშვილი**  
ტელ: 599 74 68 10  
დამფუძნებელი —  
**გორა გუტაშვილი**  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**დალი ჯვარაძე**  
ტექსტი ააწყო  
**თამარ გოგინაძე**  
კორექტორი  
**ქეთევან ნახაძე**  
მის: თბილისი, ლესელიძის  
ქ. №27, მე-2ს.  
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**მეორფასო მკითხველო!**  
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული  
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს  
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,  
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის  
შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების  
განთავსება ფასიანია!



# ჯეზუს მშობლობა

უფალმა, ადამის მოდგმა რომ ეხსნა, კაცობრივი ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გამოირჩია.

დანიელ წინასწარმეტყველი ამბობდა: „მთისაგან ლოდი თვინიერ ხელისაგან კაცისა გამოკუთხილი“ (დან. 2:34), რაც იესო ქრისტეს უმამაკაცოდ შობას გულისხმობდა, ხოლო ესაია ღალადებდა: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე“ (ესაია 7:14).

მოსემ ღვთისმშობელი შეუწველ მაყვლოვნად იხილა სინას მთაზე, გედონმა - სანმისად, დავითმა - ტარიგად, მოსე წინასწარმეტყველმა უხრწნელ ქალწულად შქადაგა, ეზეკიელმა - სინმინდის ბჭედ, დანიელმა - შეურყვევლ მთად, ესაიამ - იესეს ძირად.

ქრისტიანულ ლიტურატიურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც

დანვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.


ყოვლადწმიდა ქალწული გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მამა, მართალი იოაკიმე, დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, მართალი ანა, პირველი მღვდელმთავრის აარონის შთამომავალი გახლდათ. ღვთისმშობიშ ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდა. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულობამდე, მაგრამ იმედი არ დაუკარგავთ, რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, შვილს მომადლებდა მათ. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს, რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაელები უშვილობას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ, ამიტომ იოაკიმე და ანა თანამემამულეთაგან მრავალ უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ. ერთ-ერთ დღესასწაულზე მართალ იოაკიმეს იერუსალიმის ტაძარში უფლისათვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, მაგრამ მღვდელმთავარმა უარი უთხრა. მოხუცი ღრმა მწუხარებით აივსო, უდაბნოს მიაშურა და ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.

უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვედრება. მთვარანგელოზმა გაბრიელმა ანას აცნობა, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად მაშინვე აღთქმა დადო, რომ ბავშვს უფალს შესწირავდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა,

რომ ღმერთმა მისი ვედრება შეი-სმინა და მალე მემკვიდრე შეეძინებოდა.

გავიდა ხანი და ანამაც იმშობიარა. მას ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს.

მარიამი ერთი წლისა რომ გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა და მღვდელმთავრები, მღვდლები, მნივგნობრები და პატივსაცემი მოხუცები მიიწვია. მღვდელმთავრებმა და მღვდლებმა ჩვილი დალო-ცეს და ღმერთს მისი კურთხევა შესთხოვეს.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღ-ლესი დასის ანგელოზებზე მალა დგას. როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, "უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა".

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა

და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. ეს იმიტომ, რომ, საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუქვა, რომ მისი წილხვედრი მინა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი ნყალობაა, მაგრამ ამავედროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც. ნყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან ნყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს; თუ უღირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებელი ეკლესია 21 (ძვ. სტ. 8) სექტემბერს დღესასწაულობს. ამ დღეს ტაძრებში საგან-გებო საგალობლებს აღავლენენ - ადიდებენ ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელამც ცა და დედამინა შეაერთა, როცა ხორციელად შვა უფალი და ვითარცა "მაყვალს შეუწველს", რადგან დაიტია ღმერთი და არ დაინვა.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს ღვთისმშობლობის ბრწყინვალე დღესასწაულს!





# ბიოგრაფია კალანდარიშვილის ცხოვრების

# კვარკვარ

## „მონოლოგი თქონცელი“

„სემო ძვიროვასო მიუტოლო, მე შენ ძალოან მიუჯანსო. შენ ხარ ის ერთადერთი არამისი. რომლის გარეშეც სიტყვებო არ მსუნს (შენ სემოვის მოტეოი ჰროანეცა ხარ). რიცი მარლოხა მინცა გითხროს ერთოტოტობისათვის. შენც მონიჭებოლი ბეცნიერი რიციებისათვის. ბიციებისათვის. ოჯახური სიმოტოტობისათვის. ომერთმა რიციხანს გუამოტოტოს ერთმანეთის სიუჯანოტოში აქსც რა იქსც.“

შენი გია“.

ამ წერილის შემდეგ დიდხანს ვეღარ იცოცხლა, ეს მისი საბოლოო აღსარება აღმოჩნდა ოჯახისა და უფლის წინაშე. რა იცოდა, რომ ეს სიტყვები დაასრულებდა მისი ჩანაწერების წიგნაკს...

იყო და არა იყო რა... ამ შემთხვევაში იყო ანმეოსა და მომავალ დროში უნდა ვიგულისხმოთ, რამეთუ გია კალანდარიშვილი, კაცი, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, იმ ქვეყნად უფალმა, აქ კი მისმა ოჯახმა უკვდავების შარავანდედით შემოსა, წმინდა გიორგის მაღლი ტრიალებს კალანდარიშვილებისას. გიორგი I მისი ბაბუა იყო, გიორგი II მამა, თავად გიორგი III გახლდათ, შვილი გიორგი IV შეეძინა, შვილიშვილი კი გიორგი მეხუთეა. ღმერთმა ამრავლოთ კალანდარიშვილების ოჯახი და წმ. გიორგის მაღლმა დალოცოს თითოეული მათგანი.

ბატონი გიას საგვარეულო ფესვები და წინაპართა საძვალე სენაკიდან იღებს სათავეს. დაიბადა სენაკში, ექიმების ოჯახში. ოქროს მედალზე დაამთავრა სენაკის N7 საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად ქალაქ რიგის სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა. ოთხ წლიანი სწავლების შემდეგ გიამ სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელა. ცოლ-ქმარი სანთელივით შესცქეროდნენ ერთადერთ შვილს და დღენიადაგ მის სწორედ აღზრდასა და განვითარებაზე ზრუნავდნენ. ასპირანტურისთვის ქ. მოსკოვს მიაკითხა. ამ დროისთვის გია ახალდაქორწინებული იყო. ცხოვრების თანამგზავრად ჯანჯღავების ულამაზესი გოგონა, მარინა შეარჩია, პროფესიით ექიმი. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოსკოვში წავიდნენ სამუშაოდ. მათი

ნიჭისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე შეეძლოთ მოსკოვში დარჩენილიყვნენ და სამეცნიერო საქმიანობა იქ გაეგრძელებინათ, მაგრამ გულანთებულმა ქართველმა წყვილმა უცხო მიწაზე ვერ დაიდო ნავსაყუდელი და მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება არჩია. 1990 წელს ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. გიამ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა, 1990 წელს აირჩიეს კათედრაზე ასისტენტად, თუმცა მანამდე უკვე იყო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც მოსკოვში ასპირანტურაში სწავლების შემდეგ დაიცვა. ორი წლის შემდეგ მისმა მეუღლემ ქალბატონმა მარინამ იგივე თერაპიის კათედრაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.



გია და მარინა შვილებთან ერთად

ბატონი გიას თანამშრომლები აღრფთოვანებული იყვნენ მისი განათლების დონით, შრომისუნარიანობით, წესიერებითა და პატიოსნებით, — ყოველივე ამის გამო ბატონი გია ყველგან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა, სწორედ მათივე მოთხოვნის საფუძველზე გადაწყდა, რომ გიას სადოქტორო დისერტაცია უნდა დაეცვა. მართლაც, 1999 წელს გია კალანდარიშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო ხარისხი თემაზე: „ფილტვების, ქრონიკული უკმარისობის არა მედიკამენტური მკურნალობა“. აღნიშნული დისერტაცია გამოირჩეოდა დიდი აქტუალურობით, კვლევის მეთოდების მაღალი დონით.

ბატონმა გიამ თავის ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მოასწრო დაებეჭდა სახელმძღვანელო ახალგაზრდების აღზრდა-დასპეციალების მიზნით სათაურით „შინაგან სწეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია“, რომლის თანაავტორიც გახლავთ, ასევე პროფესორი ვაჟა გვანცელაძე, წიგნი 2003 წელს გამოიცა. მისი განსაკუთრებული გარდა მაღალი პროფესიული, მეცნიერული კვლევებისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ დრომდე შინაგან სწეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია ცალ-ცალკე იკითხებოდა, როგორც დამოუკიდებელი კურსი და მათი სახელმძღვანელოც ცალკე იყო შემქნილი, ზემოაღნიშნულ წიგნში კი ორივე ეს დისციპლინა ერთად არის გადმოცემული.

წიგნი თავის შინაარსით აქტუალობას არასდროს დაკარგავს. იგი დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო სტუდენტებსა და ახალგაზრდა ექიმებს, არამედ გამოცდილ სპეციალისტებსაც დაეხმარება დაავადებებთან ბრძოლაში.

ბატონი გია გამოირჩეოდა ზოგადი განათლებით, ზედმინევიან უყვარდა ლიტერატურა, პოეზია,

იცოდა ქართული სიტყვის ფასი. ბევრს კითხულობდა, მნიშვნელოვან ფრაზებსა თუ გამონათქვამებს უბის წიგნაკში ინერდა, ცხოვრებისეულ მნიშვნელოვან ფაქტებსაც თავის წიგნაკში აფიქსირებდა. იყო არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, შვილი, სიძე და მეგობარი. ნამდვილი ქართული, ტრადიციული ოჯახის თავკაცი. მეუღლე მარინა ჯანჯღავა წარმატებული ფტიზიატრია. ამჟამად ქალბატონი მარინა ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამის მართვა-კოორდინაციის და კონტროლის სამსახურის უფროსია. არის მედიცინის აკადემიური დოქტორი. ჰყავს ორი სასახელო ვაჟი, გიორგი და ნუგზარი. დარჩა უნუგეშოდ ანგელოზი ცოლ-შვილი, რომელთაც მზრუნველი მამა და მეუღლე ბედისწერამ ხელიდან გამოსტაცათ. აგერ უკვე ათი წელია ქალბატონი მარინა მარტო ეწევა ოჯახის მძიმე ტვირთს.

ქმრისგან დანატოვარ ვაჟებს ცხოვრების სწორი მიმართულება მისცა, კლასიკური განათლება მიალეებინა, დააოჯახა და დღეს უკვე ოთხი შვილიშვილის ბებიაა, რომელთაგან მეოთხე ბაბუის სახელს ატარებს, ის გიორგი მეხუთეა.

დასანანი და თანაც რაოდენ დასანანი, ერთ დროს სილამაზითა და ერთგულებით ნაგები ქართული ოჯახის ფუძე შერყეულია, თუმცა უფლისა და სახელოვანი ცოლ-შვილის წყალობით ბატონი გიას ოჯახი, მაინც ფეხზე დგას, თანაც ისე, როგორც თავად გიას გაეხარებოდა, როგორც ის ინატრებდა.

წელს ბატონი გიას საიუბილეო წელია, ვარდობის თვეში მისი ცხოვრების კალენდრის მოხეული ფურცელი 6 ათეულ წელს დაითვლის. ნათელი და სანთელ-საკმეველი არ მოკლებოდეს მის ნათელ სულს.

**ნინო ჩახვიაშვილი**



**გია, ძაო!**

განგება რომ აუხსნელია, ამას რაღად უნდოდა შენგანაც დამტკიცდება... შენგან, ვინც ყოველთვის სიყვარულს აშუქებდი, ადამიანის, მოყვასის სიყვარულს.

მტრობა საერთოდ არ შეგეძლო, თორემ ასე მგონია, მტერსაც შეიყვარებდი!

შენი სიყვარული, შენგან გაცემული გულის სითბო, მზრუნველობა, ღიმილი, სიკეთე, ყოველთვის უანგარო იყო.

შეიძლება შენ არც გიფიქრია, ვერ ხვდებოდი, შეიძლება არც ჩვენ გვითქვამს შენთვის ხმამაღლა, რომ ჩვენთან ყოფნით ყველას გვამაღლებდი და გვაკეთილშობილებდი, რადგანაც იმ სამყაროში, რომელსაც გია კალანდარიშვილის ოჯახი, მეგობრები და სამსახური ერქვა, უზნეობისა და ღალატისათვის კი არა, უბრალო მედიდურობისთვისაც კი არასოდეს რჩებოდა ადგილი! მხოლოდ შენ შეგეძლო გეთქვა მეგობრისათვის ჩუმად, ვაჟკაცური ღიმილით, სიტყვა: „მეამაყები“! მხოლოდ შენ, რადგანაც, თურმე სიყვარულისა და პატივიცემის ასე ბუნებრივად გამოხატვასაც დიდი ნიჭი უნდა, სიყვარულის ტოლფასი ნიჭი!

მხოლოდ ახლა, შენი მოულოდნელი წასვლით შეძრულს მომეცა ძალა, მეც გითხრა: მიყვარხარ, მე-

ამაყები! მეამაყება შენს მარინესთან ერთად გასაოცარი რუდუნებით და სიყვარულით შემქნილი შენი ოჯახი, შენი ლომის ბოკვერა ვაჟები, შენი მშობლები, შენნაირი კაცი რომ აღუზარდეს ჩვენს საქართველოს.

მეამაყები და უკვე მენატრები, რადგანაც შენს გარეშე დარჩენილი რეალობა უკვე სხვა რეალობაა, ერთი ნაღდი კაცის ღიმილმოკლებული რეალობა.

ნაღდი იყავი შენს პროფესიაშიც, მეცნიერებაშიც, მასწავლებლობაშიც... მუდამ ნაღდი და უღალატო! ამიტომაც, ვერავინ აცნობიერებს შენგან ასეთ დიდ „ღალატს“ — შენს ასეთ მოულოდნელ წასვლას! შენგან შენი ახლობლების ასეთი გაოგნებისა და სასონარკვეთისათვის „გამეტებას“. დღეს უამრავი ხალხი გახვევია გარს, ხშირად ერთმანეთისათვის უცხო, მაგრამ ერთში უეჭველად თანაზიარი: შენი კაცობის, შენი გულის, შენი ცხოვრების წესის უზომოდ მადლობელი და ამდენად, უშენობით ჭირისუფლად გადაქცეული.

შენზე დაღვრილი ცრემლის სტალაგმიტად გაქვავება რომ შეიძლებოდა, წმინდა და ღამაზი ძეგლი დაგედგმებოდა საქართველოში, გია ძაო!

**ღიმიტრი კორკაია**

მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი



**მკიფე ტკივილის გახსენება**

ჩვენს სამედიცინო უნივერსიტეტს მრავალი კარგი და მისაბაძი ტრადიციები აქვს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ჩვენი ან გარდაცვლილი, დამსახურებული პროფესორ-მასწავლებლების დაბადების თარიღის აღნიშვნა, რომლებმაც უდიდესი სამეცნიერო-პედაგოგიური განძი დაგვიტოვეს, რომელიც საზრდოა მომავალი თაობისთვის. განა შეიძლება არ გავიხსენოთ განსაკუთრებით დაბადების დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდა, დიდად წარმატებული მეცნიერებაში, პედაგოგიურ მოღვაწეობაში და სამკურნალო საქმიანობაში ჩვენი კათედრის პროფესორი, აკადემიკოსი გია კალანდარიშვილი, რომელმაც მხოლოდ ორმოცდაათი წელი იცოცხლა. მიმდინარე წელს კი 24 მაისს საიუბილეო თარიღი უსრულდება, 60 წლის ხდება. ბატონო გია, შენს დაბადების დღეს სანამ ცოცხალი იყავი, მთელი კათედრა და კლინიკა დიდი სიხარულით ვზეიმობდით, მაგრამ შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყველა დაგვალონა, ამ დროს ყოველთვის შენ

საფლავზე ვიკრიბებით, სანთლებს გინთებთ, ყვავილებით ვამკობთ შენს სურათს და ღრმა მოგონებაში და მონატრებაში ვვარდებით. ეს ასე გაგრძელდება სანამ ცოცხალი ვიქნებით.

ბატონი გია, 1990 წ. ჩვენი კათედრის ასისტენტად ავირჩიეთ. ამ დროისათვის იგი უკვე იყო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც მოსკოვში ასპირანტურაში სწავლების შემდეგ დაიცვა. (პროფ. ა.ალექსანდროვის ხელმძღვანელობით, მოსკოვის პირაგოვის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრის გამგე).

ბატონ გიას მოსკოვში ჰქონდა დიდი პერსპექტივა შემოქმედებითი გზის გასაგრძელებლად. იგი ამ პერიოდში ასისტენტის თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ სამშობლოსადმი დიდმა სიყვარულმა გადაძლია და შემოქმედებითი საქმიანობა დედამამშობლოში გააგრძელა. დღიდან გაცნობისა მან ჩემზე და კათედრის ყველა თანამშრომელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რითაც ჩვენი დიდი პა-

ტივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, მასში დავინახეთ პიროვნება განათლებული, შრომის უნარიანი, წესიერების და პატიოსნების მატარებელი ადამიანი და დიდი პოტენციის მქონე მეცნიერ-პედაგოგი. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მას დაეწყო მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე. მართლაც, დადგა დღე, როდესაც ბატონმა გიამ ჩატარებული ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგად სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ფილტვების ქრონიკული უკმარისობის არა მედიკამენტური მკურნალობა“ წარადგინა ჩვენი უნივერსიტეტის თერაპიის ხარისხის მინიჭების სამეცნიერო საბჭოს წინაშე დისერტაციის დასაცავად. მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია და ერთხმად მიანიჭეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი; რამაც ყველა ძალიან გაგვახარა. დისერტაციის დაცვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა პროფესიონალ მედიკოსებში (პულმონოლოგები), ისინი თავიანთ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და დიდი შემართებით აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენილი დისერტაცია, გამოირჩევა დიდი აქტიურობით, კვლევის მეთოდების მაღალი დონით, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოპონენტებმა ერთხმად აღიარეს მისი შემოქმედებითი მეცნიერული აზროვნება და ლოგიკა. დისერტაციის დაცვის შემდეგ ავირჩიეთ კათედრის პროფესორად. ამ დროისათვის იგი უკვე წელში გამართული, ძლიერი, პერსპექტიული მეცნიერია, რომელმაც ამავდროულად მაღალ დონეზე შეუთავსა პედაგოგიური და სამკურნალო საქმიანობა. ჩემო გია, შეუძლებელია არ აღვნიშნო შენი დიდი წვლილი და შრომა, რომელიც ჩადე ჩემი და შენი ავტორობით შექმნილ სახელმძღვანელოში... „შინაგან-სნეულებათა დიაგნოსტიკა და თერაპია“, რაც სტუდენტ-ახალგაზრდობამ დიდი სიხარულით მიიღო და დღემდე სამაგიდო წიგნად აქვთ მიჩნეული. ბატონი გიას ცხოვრებაში დიდი და სასიამოვნო ადგილი უკავია მის არჩევას საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადე-



კალანდარიშვილების ოჯახი

მიის აკადემიკოსად, ეს კიდევ დიდი აღიარება იყო მისი, როგორც მეცნიერ-პედაგოგის, რამაც ყველა გაგვახარა. დიდი გულის ტკივილით მინდა აღვნიშნო ის პერიოდი, როდესაც მე და თქვენ შეუდექით მუშაობას მეორე სახელმძღვანელოს შესაქმნელად, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებისათვის. — „შინაგანი სნეულებანი და მედდის მოვალეობა“. ამ პერიოდში მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან, რაც ჩემთვის მეხის დაცემას ჰგავდა, ჩემო გია, ბედისწერამ შენთვის მხოლოდ 50 წელი მომეცა, რაც ძალიან სამწუხაროა.

ამ განცდების ფონზე მომიწია სახელმძღვანელოს დამთავრება, ბატონო გია, ბევრი კარგი საქმე გვექონდა ჩაფიქრებული, რომელიც ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას წაადგებოდა. სამწუხაროდ, ვერ შევასრულეთ. ამბობენ დრო კარგი მკურნალიაო, ვფიქრობ ნლებმა ჩვენი მწუხარება შენი გარდაცვალების გამო ვერ გააქრო, „ვერ გივიწყებთ, ყოველთვის გნატრულობთ, ღირსეული სახელით სიკვდილი ერთგულების ხვედრია, შენი დავიწყება არ შეიძლება. შენ ჩვენს გულში ყოველთვის ცოცხლად დარჩები. შევბას გვაძლევს ის გარემოება, რომ შენი მარადიული სული სასუფეველში გადაინაცვლებს.

წელი წელს მისდევს და მონატრების სურვილი გვიორმაგდება. იცოდე ყოველთვის ჩვენს გვერდით ხარ. გვიხარია, რომ ბევრის გაკეთება შეძელი ცხოვრებაში. გახდი არაჩვეულებრივი მშობლების მოსიყვარულე შვილი, მეუღლე და მამა, წარმატებული მედიკოსი, მაგრამ გული გვწყდება, რომ შვილიშვილებს ვერ მოესწარი და ბაბუობის ემხით ვერ დატკბი.

შენმა ერთგულმა მეუღლემ მარინა ჯანჯღავამ, რომელიც წარმატებული ფტიზიატრია, შენი შვილების დავაჟუცებებს არაფერი დააკლო და ხელი შეუწყო მათ წინსვლას.

ჩემო გია, მინდა გაგახარო და გითხრა, რომ ოთხი შვილიშვილის ბაბუა გახდი. შენი მეოთხე შვილიშვილი ვაჟია, რომელიც შენ სახელს ატარებს. დარწმუნ-





ნებული ვარ შენივე მსგავსი დიდი მამულიშვილი გაიზრდება. ჩემო გია, შენ ჩემთვის ტრადიციული ქართველი იყავი, მაღალი სულისკვეთებით დაჯილდოებული და გამორჩეული სიკეთის კეთებისათვის. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს ამაგს და მზრუნველობას გადაჭარბებით აფასებდი გამომდინარე იქიდან, რომ შენ გაძლიერებული მადლიერების გრძნობით იყავი დაჯილდოებული ღვთისა და მშობლების წყალობით. ჩვენი ურთიერთობა რაც არ უნდა თბილად შევფუთოთ, ვერ ჩაეტევა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის ჩარჩოში, ეს ბევრად უფრო მეტი იყო, შვილად გთვლიდი, სულიერ მეგობრად მიმაჩნდი, ძალიან გვიჭირს უშენობა, ვერავითარი მალამო ვერ მოაშუშებს ამ იარას და ვერავინ შეავესებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს, გვიყვარხარ და გეფერებით. ჩვენ ვთვლით, რომ ტადრისკენ მიმავალი გზა, უმნიკვლოდ, კაცურად და სამაგალითოდ გაიარე, რაც ძალიან საამაყო და მისაბაძია ახალგაზრდა მედიკოსებისათვის. ჩემო გია, ვნუხვართ, რომ ველარ გვეგებები შენი, გალიმებუ-



ლი სახით და ჩვენდამი სიყვარულით სავსე თვალებით, სადაც გაივლიდი ყველგან სიკეთეს თესავდი, სითბოს და სიყვარულს ტოვებდი.



**გაზეთი „კოლხეთი“  
გია კალანდარიშვილს ულოცავს  
მიღწეულ წარმატებას**

დროის ბორბალი ტრიალებს, თაობები, თაობებს ცვლის, მეცნიერება აღმავალი გზით მიდის, სრულყოფილებას აღწევს.

ადამიანები ეძებენ, სიმაღლევს იპყრობენ, ახალი აღმოჩენებით მიღწეული წარმატებით ერის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ამდიდრებენ.

სასიხარულოა, რომ 1999 წლის 6 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით ჩვენი რაიონის მკვიდრს გიორგი გიორგის ძე კალანდარიშვილს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი: სპეციალობით „შინაგანი სნეულებანი“.

ოჯახის, მშობლებისა და მეგობრების ამ სასიხარულო განწყობილებას ჩვენც ვუერთდებით და ბატონ გიორგის ვულოცავთ მიღწეულ წარმატებას!

გაზეთი „კოლხეთი“ 2000 წელი N1



# ალექსანდრა ჯეჯელავა განათლების სისტემის უსასხებ



მათემატიკოსის განათლებისა და პროგრამის არაერთგვაროვანი გამოცდილების მქონე ალექსანდრა ჯეჯელავა ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ „ლაპარაკი უკეთ გამოსდით“ და მენეჯერული კარიერა დაიწყო. მოგვიანებით განმანათლებლის ფუნქციებიც შეიტაცა, საკამოდ წარმატებულად და, „განათლების მინისტრობამდე“ დანიშნულად კიდევ.

ახალი განმანათლებელი აპირებს „მიერთვას განათლების სისტემაში არსებული ყველა გომგამო“. ასეთი „გომგამოები“ (ანუ ყველაზე რთულად გასამკლავებელი საქმეები) მრავლადაა როგორც სკოლაში, ისე პროფესიული განათლების სფეროში.

**რაც მინისტრი გახდით, პრობლემებს სხვა პერსპექტივიდან შეხედეთ? რამდენად შეიცვალა თქვენი მიდგომები?**

რალაც საკითხებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, შემეცვალა, მაგრამ ფუნდამენტურად არა. მგონია, რომ საკმარისად დიდ ხანს თუ გაჩერდები სისტემაში, თვალზე ბინდი გადაგეკრება, ამიტომ ახლა ჩემი ამოცანაა, სანამ ნათლად ვხედავ, ისეთი საქმეები წამოვიწყო, რომ მერე, როცა ჩემი დრო აღარ იქნება, მათ მაინც იარსებონ. თანაც, ჩემი საჯარო გამოსვლების „უბედურება“ ის არის, რომ კრიტიკა უკვე გაჟღერებული მაქვს და ძალიანაც რომ მინდოდეს, საპირისპიროს ველარ ვიტყვი. ჯერჯერობით არც შემეცვლია შეხედულებები, უბრალოდ, გარკვეული ტექნიკური სირთულეები დავინახე, რომლებსაც მანამდე შესაძლოა ვერ ვამჩნევდი და ისინი მოსაგვარებელია.

**რისი შეცვლა მიგაჩნიათ განათლების სისტემაში პირველი რიგის გარდაუვალ აუცილებლობად?**

ამ კითხვაზე მოკლე, ერთნინადადებიანი პასუხი არის ის, რომ ქართული საზოგადოების საჭიროება 21-ე საუკუნეში უფრო სწრაფად შეიცვალა, ვიდრე მოასწრო შეცვლა განათლების სისტემამ. ერთი განსაკუთრებული ჩავარდნა, მაგალითად, ეხება ჩვენს ზღაპრებს, რომლებიც არ შეესაბამება საზოგადოების ამჟამინდელ ფასეულობათა სისტემას.

**ანუ ზღაპრები უნდა შეეცვალოს?**

ყოველ შემთხვევაში, დოგმატური არ უნდა ვიყოთ

ამ ნაწილში. ზოგიერთმა მშობელმა შეცვალა „წითელ-ქუდა“ და ისე უყვება ბავშვს, რომ იქ ნაკლები ძალადობაა. ჩვენ ამას ხელი უნდა შევუწყოთ. ასევე არ მომწონს, მაგალითად, ყველა ქართველი ბავშვი კომპიუტერთან რომ დამწკრივებულა და Маша и Медведь-ს უყურებს. მერე თუ ვინმეს უკვირს რუსეთის მიმართ მეგობრული განწყობა, არ უნდა გაუკვირდეს, რადგან ამ ასაკში თავში ჩაბეჭდილი ძალიან დიდი გავლენას ახდენს მთელ შემდგომ ცხოვრებასა და აზროვნებაზე.

**როგორ აპირებთ დააბრუნოთ „რეალობას მონყვეტილი სკოლა“ რეალობაში?**

სუგატა მიტრა თავის საჯარო გამოსვლაში – SCHOOL IN THE CLOUDS – ამბობს, რომ სკოლის ის მოდელი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ბრიტანეთში ოთხი-ხუთი საუკუნის წინ შეიქმნა. ანუ ხუთასი წლისაა ეს სისტემა და მას მერე პრინციპი დიდად არ შეცვლილა: „წელში გასწორდი“, „ნუ ხმაურობ“, „ერთმანეთს ნუ ელაპარაკებით“ - კვლავაც აქტუალურია. ეს ადამიანი კვლევებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ბრიტანეთმა თავის დროზე ასეთი სკოლა იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე შექმნა. მაშ, რატომ სწავლობენ ქართველი ბავშვები 21-ე საუკუნეში იმავე პრინციპებით? სტატია მაქვს დაწერილი – რისთვის ამზადებს ჩვენი სკოლა ბავშვებს და ერთ-ერთი პასუხია – ზარი. სად გვხვდება ზარი, გარდა სკოლისა? ქარხანაში. ე.ი. სკოლა ზარს იმიტომ გირეკავს პერიოდულად, რომ მიგაჩვიოს ქარხნის ზარს, ვინაიდან ადრე ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ქარხნის ზარზე რეფლექსი გქონოდა. კიდევ ერთი შეკითხვა: ადამიანების ასაკის მიხედვით დაჯგუფება სხვაგან სად გვხვდება? რატომ არის მეექვსე კლასის ქიმია ყველა ბავშვისთვის ერთი დონის განურჩევლად იმისა, გიჟდება ეს ბავშვი ქიმიაზე, თუ ვერ იტანს მას? გარდა ამისა, მთელ მსოფლიოში მეცნიერები და პრაქტიკოსები აღიარებენ, რომ მას მერე, რაც ინტერნეტი გაჩნდა, თვითგანათლება სულ უფრო მზარდი ინსტრუმენტია და სკოლა, რომელიც ამას არ ითვალისწინებს, უკვე ავტომატურად აცდენილია რეალობას. რატომ უნდა დავიმახსოვრო მე, მოსწავლემ, რომელ ქვეყანაში რა სასარგებლო წიაღისეულია, როცა არსებობს ოვგლე? პასუხი არის: არც რატომ.



მოკლედ, რაღაცებს, რასაც ჩვენ ვასწავლით, აზრი საერთოდ დაეკარგა.

**როგორ წარმოგიდგენიათ არსებულ სიტუაციაში უკვე მყარად ფესვგადგმული სისტემის რადიკალურად შეცვლა?**

ინტერნეტის გაჩენასთან ერთად, განმანათლებლებმა აღმოაჩინეს, რომ თუ ბავშვს შეუქმნი მოტივს, რაღაც იცოდეს და მერე ამისთვის დროს მისცემ, ის აუცილებლად ისწავლის. ეს არ ნიშნავს, რომ ძველი მეთოდები უნდა მოვსპოთ. ისინი რჩება, უბრალოდ, ემატება ახალი მეთოდები, საგნობრივი წრეები, რომლებიც უკვე არსებობს, მაგრამ მათზე ხელი ჩვენი მოსწავლეების მხოლოდ 10%-ს მიუწვდება. ეს წრეები უნდა გახდეს მასობრივი და ისინი იყოს არა მხოლოდ ქიმიისა და ფიზიკის, არამედ საზოგადოებრივ საკითხებზეც და თან აბსოლუტურად ნებაყოფლობითი. შეიძლება ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ თუნდაც მაღალმთიან აჭარაში არის სუპერმასწავლებელი, მას ჰქვია ინტერნეტი და ასევე არის პირობითად ნინა ბეზია, რომელიც არის სუპერმოტივატორი. ჩვენ ვამბობთ რომ სუპერბებია ნინას + სუპერმასწავლებელი ინტერნეტი + აჭარის რეგიონის სუპერნიჭიერი ბავშვები = ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს და ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაპირებთ, ეს დავამტკიცოთ: შევისწავლოთ და დავდოთ სტატისტიკა, რომ ვისაც უვლია წრეებზე და ჰქონდა ამის საშუალება, უკეთესი აკადემიური შედეგები აქვთ.

**საკმაოდ მწვავედ დგას მასწავლებლების პრობლემატ. წელიწადში ერთხელ ვხდებით ხოლმე მონმე იმ აღწვოთების ტალღისა, რასაც მასწავლებლების მიერ სასერტიფიკაციო გამოცდებზე მიღებული შედეგები იწვევს. რას აპირებთ?**

ეს არის დანაშაული და ამ ხალხის დემონიზაცია. სტრატეგიული ამოცანა რომ ჰქონდეს ვინმეს ქვეყნის დაქცევის, უნდა შეაძლოს ამ ქვეყნის ბავშვებს მასწავლებლები და მერე ის ქვეყანა თავისით დაიქცევა. სამწუხაროდ, არ ვიცი, უნდოდა ეს ვინმეს თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ მოახერხეს და მასწავლებლებზე ასეთი პიარი ააგორეს. ერთი ცენტრალური და ფუნდამენტური ამოცანა, რომელიც მე მაქვს, არის ის, რომ მასწავლებლის სტატუსი საზოგადოებაში ძალიან მაღალი იყოს. შესაძლოა, საქმეს ბანკშიც ცუდად აკეთებდნენ, მაგრამ ამის გამო ბანკირის პროფესიის შებღალვა არ შეიძლება.

**მაშ, რა არის პრობლემა, თავად სასერტიფიკაციო გამოცდა?**

სასერტიფიკაციო გამოცდაშიც არის პრობლემა და დამოკიდებულებაშიც. როცა მასწავლებლებს ეუბნებიან, რომ გამოცდისთვის ბევრი უნდა იმეცადინონ, მაგრამ ბოლოს პასუხად მაინც იმას მიიღებენ, რომ არაფრად არ ვარგანან, საერთოდ აღარ მოუწდებათ ამ გამოცდის ჩაბარება. მე ვხვდები მასწავლებლებს და ვაპირებ, რომ ამას მომავალშიც ბევრი დრო დავუთმო.

მათ დააკარგინეს რწმენა, რომ ოდესმე ვინმე ადამიანურად შეხედავს. ოქროსმედალოსან მოსწავლეებს, მაგალითად, ლექტორებს აჩუქებენ, რაც ძალიან კარგია, მაგრამ მასწავლებლებს არაფერი? ეს რანაირი არითმეტიკაა. მოკლედ, ჩვენ – მე, სამინისტროსა და ფართო საზოგადოებას – მიგვიძღვის დანაშაული მასწავლებლის წინაშე, მაგრამ ჩვენ რა სტანდარტსაც დავანესებთ, იმას აჰყვება საზოგადოება და ეს სტანდარტი არის შემდეგი: მასწავლებელი არის ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა, ემსახუროს საზოგადოებას და ამის გამო, მინიმუმ პირველად დაშვებას იმსახურებს იმასთან დაკავშირებით, რომ ის ძალიან კარგი ადამიანია. ასე უნდა დავინყოთ და მერე თუ ვინმე ცუდად გააკეთებს თავის საქმეს, კი ბატონო, ვუსაყვედუროთ.

**მიგაჩნიათ, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული უმაღლესი განათლების გერმანული მოდელი წარმატებულად იმუშავებს ქართულ რეალობაში?**

ჩვენთვის ამ მოდელში მთავარი არის ის, რომ მუშაობა და პროფესიული განათლების მიღება ერთმანეთისგან ცალკე მდგომი პროცესები არ იყოს. სახელმწიფო აპირებს, რომ სტუდენტს აუცილებლად მოუწახოს ადგილი, სადაც ის სწავლის პარალელურად მივა და იმუშავებს. შესაბამისად, მას შეფასებას დაუწერს დამსაქმებელიც და სასწავლებელიც. საქმე ისაა, რომ, თუ სტუდენტი კარგად არ იმუშავებს, მარტო სწავლით ფონს ვერ გავა და პირიქით, თუ კარგად იმუშავებს, მაგრამ არ ისწავლის, არც ეს გამოადგება. ამ მოდელში დაფინანსების სქემა შეიძლება ბევრნაირი იყოს და, რა თქმა უნდა, აქაც პირდაპირ კოპირებას არ ვაპირებთ, ამიტომ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი სამუშაოა, რომ ჩვენ მოვძებნოთ კომპანიები, რომლებსაც ამ პროცესში ჩართვის სურვილი გაუჩნდებათ. ფაქტია, რომ დუალური სისტემა როგორც ინსტიტუტს, ისე დამსაქმებელს ძალიან კარგ გარანტიებს აძლევს.

**პროფესიონალი კადრების დეფიციტის შესახებ არაერთი ბიზნესმენისგან გვსმენია, თუმცა ფაქტია, რომ პროფესიული განათლების პროგრამები დიდი პოპულარობით არ გამოირჩევა და მათზე მოთხოვნა დაბალია. გამოდის, მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი დარღვეულია. რატომ?**

პროფესიაც არის მარკეტინგული პროდუქტი, რომელიც აგებულია წინასწარგანწყობებზე. მე თუ “დავაჯოჯოხეთებ” ელექტრიკოსის პროფესიას და პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებას ტრაგედიად ვაქცევ, იქ არავინ ჩააბარებს. ასე მოხდა საბჭოთა პროფესიული განათლების სისტემაში. შესაბამისად, რადგან ეს “დაჯოჯოხეთდა” და იურისტი “გასამოთხევედა”, ჩვენი ქვეყანა წავიდა იქითკენ, რომ მოთხოვნა გაიზარდა იურიდიულ ფაკულტეტზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე და ა.შ. ბაზარზე გაჩნდა ამ პროფესიის ხალხის მიწოდება, მაგრამ – მხოლოდ დიპლომების, რადგან შრომის ბაზარს არ მოუთხოვია ისინი და

ამიტომ სამსახურებიც არ გაჩნდა. დუალური მოდელი კი გულისხმობს იმას, რომ მივდივართ ბიზნესთან და ვეკითხებით, რა სჭირდება. თუ გვეტყვის, რომ ელექტრიკოსები, ვეტყვით, ერთი წელი გვაცადოს, გავვარდებით, შევიჭრებით სკოლებში, გავამარკვეთინებთ ელექტრიკოსობას, მოვიყვანთ ხალხს პროფესიულ სასწავლებელში და მივუყვანთ ბიზნესს, ოღონდ ის უნდა დაგვეხმაროს, ისე ვასწავლოთ ეს ელექტრობა, როგორც თავად სჭირდება. მეორეა, რომ სამუშაო ძალა უნდა გავხადოთ მობილური, ანუ გამოვიყენოთ მეზობელი ქვეყნები - თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი. სამომავლოდ, იმედია, რუსეთიც - ჩვენი მცირე სამუშაო ძალის ექსპორტისთვის, როცა ადგილზე მოთხოვნა არ არის.

**თუმცა აქ ენის ბარიერი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მისი მოგვარების გეგმა თუ გაქვთ?**

დიახ, ინგლისური და რუსული უნდა ვასწავლოთ აუცილებლად. ამისთვის სპეციალური პროგრამები გვექნება და მასობრივ გადამზადებასაც შევუდგებით, მათ შორის - ელექტრონული სწავლების მეთოდების გამოყენებითაც.

**მინისტრობისას ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთეთ, შეხვდით აუდიტორია 115-ის წევრებს. სად ხედავთ უნივერსიტეტში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზას? რა ფორმით უნდა შენარჩუნდეს თვითმმართველობა?**

უნივერსიტეტს უშველის იგივე, რაც ქვეყანას და ამას ჰქვია ერთობა. ერთობა აზრის კი არა, ერთობა ურთიერთობის. მთავარი პრობლემა, რასაც მე ვხედავ, არის ის, რომ ჩვენთან ძალიან უყვართ მხარეებად დაყოფა და მტყუან-მართლის გამოკვლევა. ყველა ცდილობს უნივერსიტეტის სიტუაციაში გაარკვიოს, ვინ არის ბოროტი და ვინ - კეთილი, მე კი იმის თქმას ვცდილობ, რომ ორივე მხარე კეთილია, უბრალოდ, მათ განსხვავებული ფორმით სურთ ეს სიკეთე. ამიტომ ამ პრობლემის მუდმივი დიალოგის ფორმატში გადაყვანას ვაპირებთ, ვინაიდან სიტუაცია სწორედ იმიტომ გამწვავდა, რომ ვილატებმა უარი თქვეს ლაპარაკზე. თვითმმართველობა აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, ვინაიდან ბოლონიის პროცესი ამბობს, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის საშუალება უნდა ჰქონდეთ. საქმე მისი ფორმა გახლავთ. ამიტომაც უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთ. ამჟამად მხარეები ლაპარაკობენ, არ იზოლირდებიან პროცესისგან და ნელ-ნელა წინ მივდივართ. თუ ვინმე პროცესს შეაფერხებს, მივხვდებით, რომ მისი მიზანი ეს იყო და მოვაგვარებთ.

**„ერთადერთი, რაც ამ ქვეყანას უშველის, არის მცირე და საშუალო ბიზნესი“. ეს ამონარიდია თქვენი ერთ-ერთი საჯარო ლექციიდან. როგორ უნდა განვავითაროთ ე.წ. სამეწარმეო სული ადამიანებში განათლების სისტემის მეშვეობით?**

ამის გასაღები დევს, ვერაფრით ვერ გამოიცნობთ

ზღაპრებში. ამერიკაში რომ ჩავედი და ჩემი პატარა დისშვილი დავიტოვე ცოტა ხნით, ვკითხე, რა ვითამაშოთ-მეთქი და მითხრა, მაღაზიობანა ვითამაშოთო: მე ვიქნები გამყიდველი, შენ იქნები კლიენტი და მე შენზე უნდა გადაგყვეო. აი, აქ ვთქვი, რომ გაიმარჯვა ამერიკამ, ვინაიდან სამი წლის ქართველმა ბავშვმა ეს ყველაფერი ბაღში თამაშ-თამაშით ისწავლა. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი გავხადოთ მოდური, და ეს უნდა დავინყოთ ბავშვობიდან: სკოლაში ბავშვებს უნდა მივცეთ თუნდაც სათამაშო ფული, რათა ისწავლონ ყიდვა-გაყიდვის პრინციპები, ბიზნესი. მთავარია, ამ პროცესში ბიზნესეთიკის სწავლებაც არ დაგვავინწყდეს, თორემ ის ბავშვები მილიონერები რომ გახდებიან, მერე უკვე გვიან იქნება.

**ბოლო დროს ქვეყანაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტექნოლოგიებზე, ინოვაციური სტარტაპების განვითარებაზე. როგორც პროფესიით მათემატიკოსი, ახალგაზრდებში ინოვაციურ და ტექნოლოგიურ მისწრაფებებს თუ ხედავთ?**

საუბარი მქონდა ერთ ლატვიელ სპეციალისტთან, რომელიც თავის ქვეყანაში სწორედ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების პროცესში იყო ჩაბმული და მან თქვა, რომ ლატვიამ ათი წლის განმავლობაში ამ პროცესში \$150 მილიონი დახარჯა, ანუ ტექნოპარკებში ყოველწლიურად დებდა \$15 მილიონს. მერე, ერთმა კომპანიამ, რომელმაც შეძლო და წარმატებას მიაღწია, გადასახადების სახით 800 მილიონი დოლარი გადაიხადა. მორჩა, დამთავრდა თამაში. ერთმა კომპანიამ ათი წლის განმავლობაში დაარსებული უამრავიდან, ამოიღო სახელმწიფოს მთელი ინვესტიცია ინოვაციებში და ლატვია შემდეგი 30 წლის განმავლობაში აქეთ დაპატიჟა. მეცნიერებასა და ინოვაციებს (სხვათა შორის, ესენი ბიძაშვილები არიან) აქვთ პოტენციალი, მოიტანონ არანორმალური უკუგება, ოღონდ ძალიან ბევრი მცდელობის შედეგად. შეიძლება ათი ათასიდან ერთმა სტარტაპმა გაარტყას, მაგრამ მერე ის ერთი დაგვპატიჟებს ყველას. მე მგონია, რომ ჩვენ გვყავს ასეთი პოტენციალის მქონე გამომგონებლები და მჯერა, რომ ამ ნაწილში ჩვენი შანსები მაღალია. ბევრი მუშაობა გვინევს ბავშვებთან, რომ განიხილონ ვარიანტი, გახდნენ მეცნიერები. საბოლოო ჯამში, ჩვენთვის მეგაამოცანა არის ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს და ის ვერ იქნება ბედნიერი, თუ საყვარელ საქმეს არ გააკეთებს. შესაბამისად, ვინმე თუ იმიტომ მუშაობს ბანკში, რომ არავინ გაასინჯა მეცნიერება, თორემ გაბედნიერდებოდა და პირიქით, მავანი მეცნიერი იმიტომ არის, რომ ბანკში მუშაობის საშუალება არ მიეცა, ჩვენ დავმარცხდით, როგორც სახელმწიფო. პროფესიულ სასწავლებლებში რომ დავდივარ და ვხვდები სტუდენტებს, რომლებიც უმაღლესში სწავლობენ ისტორიას, მაგრამ პარალელურად გატაცებულნი არიან კულინარიით, ეს არის ჩემი ახდენილი ოცნება.

ანა ცხოვრებოვა





# ბიბლიური წარმოშობის გვარები ჩხორწყუს ჩაიონში

უძველესი ცივილიზაციის ერებში გვარები გაცილებით ადრე წარმოიშვნენ, ვიდრე იმ ხალხებში, რომელთა სახელმწიფოებრივ-ეროვნული ნიშნით ჩამოყალიბება გვიან ქრისტიანულ პერიოდში ხდებოდა. ძველ რომსა და ბიზანტიაში გვარებს მე-4-6 საუკუნეების მიჯნაზე ჩაეყარა არსებობის ბალანსი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მებრძული გვარების წარმოშობა კვილი რომისა და ბიზანტიის კარალებულად მე-6-8 საუკუნეებში ხდებოდა. აღნიშნული მტკიცების მიზანშეწონილ საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ჩვენი ისტორიული სამოგლო-კოლხეთი, შემდგომ ეგრისად და ლაზიკად, ხოლო ამჟამად სამეგრელოდ წოდებული, ნაზირები იყო რა უძველეს კულტურასა და ცივილიზაციას, რომისა და ბიზანტიის იმპერიების გვერდით, მათ თანაბრად ვითარდებოდა...

გვარმცოდნეობით დაინტერესებულ მკვლევართა შორის ღრმა ფუნდამენტური თანხმობაა იმ საკითხთან მიმართებით, რომ საკუთარი სახელები გვარებზე გაცილებით ადრე წარმოიშვნენ და ხშირ შემთხვევაში გვარები საკუთარი სახელებიდან არის

წარმოებული, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო რელიგია ქრისტიანობა იყო, ახალშობილებს ტრადიციულად არქმევდნენ ბიბლიაში უხვად მოცემულ წმიდათა სახელებს, რამაც შემდგომ ბიბლიური წარმოშობის გვარების ფართოდ გავრცელებას დაუდო დასაბამი.

ბიბლიური წარმოშობის გვარების განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნება იმ ხალხებში, რომელთა სახელმწიფოებრივ-ეროვნული ნიშნით ჩამოყალიბება გვიან ქრისტიანულ პერიოდში ხდებოდა. სრულიად სანინალმდეგო სურათს ვხედავთ სამეგრელოში. აქ ბიბლიური წარმოშობით გვარების საოცარი სიმცირე შეინიშნება, მაგალითად, ჩხორწყუს რაიონში, სადაც 528 სხვადასხვა გვარია გავრცელებული, ჩემი აზრით, ბიბლიური წარმოშობით დაახლოებით 21 გვარი მოიაზრება... ძალაუნებურად იბადება, კითხვა: რით არის სამეგრელოში ბიბლიური წარმოშობის გვარების სიმცირე გამონკვეთი?! - მიუხედავად იმისა, რომ მეგრელი, იგივე კოლხი ხალხის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას ჯერ კიდევ პირველი საუკუნის 40-იან წლებში, ქრისტეს მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა



ბულმა და სიმონ კანანელმა ჩაუყარეს ჭეშმარიტი საფუძველი, სამწუხაროდ, მათ ნოციერი რელიგიური ნიადაგი ქრისტიანობის დანერგვისთვის აქ არ დახვდათ, რადგან წარმართული სანყისები ჩვენი ხალხის მენტალიტეტში მაშინ მეტად ძლიერი გახლდათ. მეგრელი კაცის მენტალიტეტში ერთმანეთს ებრძოდა ქრისტიანული და წარმართული სანყისები.

მთელს სამეგრელოში ვერ იპოვით გვარს, რომელიც ღმერთის (ღორონთი) სახელთან იყოს დაკავშირებული. სამეგრელოში ვერც იესო ქრისტესთან და მარიამ ღვთისმშობელთან დაკავშირებულ გვარებს იპოვით, რაც ჩემი ღრმა რწმენით, მეგრელი კაცის მენტალიტეტში მტკიცედ ფესვგადგმული „ვაშინერს“ (ტაბუ ადევს) ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული. ისიც ნიშანდობლივია, რომ სამეგრელოში ბავშვს არცერთი მოკვდავი ხორციელი არსი არ არქმევს უფლის სათუთ, სპეტაკ, წმინდა სახელს - იესოს, რადგან „ვაშინერს“ (ტაბუ ადევს), არ შეიძლება ღმერთის სახელის მოხსენიება „ამაოთა ზედა“... მაგრამ სადაც ზემოთ აღნიშნული „შინერს“ (ტაბუ არ ადევს) იქ უხვადაა ქრისტესთან და მარიამ ღვთისმშობელთან დაკავშირებული გვარები: ქრისტესაშვილი, მარიამიძე - ქართულში.

ჩვენს რაიონში, ჩხორონყუში, გავრცელებული ბიბლიური გვარებიდან სერიოზულ მეცნიერულ კვლევას საჭიროებენ შემდეგი გვარები: ალაშია, რომელიც მიწიერი კაცობრიობის ეთნარქთან, ბიბლიურ ალაშთან არის დაკავშირებული; ბასილია-გვარი წარმომდგარია წმ.მონაგა ბასილ, იგივე ბასილ დიდი - კაპადოკიის მთავარეპისკოპოსისგან; გერგაძეა და გერგაძე გვარები უშუალოდ წმ.გიორგის უკავშირდება; ბრიგოლია და ბრიგოლია - ამ ორი გვარის წარმოშობა, ჩემი ღრმა რწმენით, უკავშირდება წმ.მონაგა ბრიგოლ კრეტის ეპისკოპოსს; დამინა - გვარის წარმოშობას საფუძვლად დაედო რომში ნამეგბული, საკვირველმოქმედი წმ.მონაგის დამინას სახელი; კოზმავა - აღნიშნული გვარი დაკავშირებულია დამინასთან ერთად რომში ნამეგბული წმ.მონაგა კოზმას სახელთან; ლაზარია - გვარი უკავშირდება ბიბლიურ ლაზარეს, რომელიც იესო ქრისტემ მკვდართით აღადგინა; ლუკავა - გვარის წარმოშობას სათავე დაუდო ლუკა მახარობლის წმინდა სახელმა; მარკოზია - გვარის წარმოშობა უკავშირდება მარკოზ მახარობლის სახელს; მიქავა და მიქანა - აღნიშნული ორი გვარი წარმომდგარია მიქანა ძინასწარმეტყველის

სახელიდან; პერტანა, პერტანა, პერტანა - გვარები უკავშირდება იესო ქრისტეს მოციქულის წმ.პეტრეს სახელს; სიმონია - გვარის წარმოშობა უკავშირდება მოციქულ სიმონ კანანელს; სოლომონია - არნიშნული გვარი სოლომონ მეფის (ბრძენი) სახელს უკავშირდება... შისაძლოა, ბიბლიური წარმოშობის გვარები ჩვენს რაიონში კიდე უფრო მეტია, რაც დამატებით საფუძვლიან და ენთუზიაზმზე დამყარებულ კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილ იქნა 15 ბიბლიური წარმოშობის მეგრული გვარი ანბანის მიხედვით დალაგებული. ახლა კი შევეცდებით ცალკე-ცალკე მიმოვიხილოთ ისინი.

**აბრამია** - გვარის წარმოშობას საფუძვლად დაედო ებრაელთა მამამთავრისა და ეთნარქის ბიბლიური აბრაამის სახელი. აბრაამი ძველებრაული სიტყვაა და „მამა მრავალთას“ ნიშნავს იგივე ძირიდან წარმომდგარი გვარებია: აბრამიძე, აბრამიშვილი - საქართველოში, ჩხორონყუს რაიონში აბრამია გვარის მატარებელი მხოლოდ 2 სული ცხოვრობს.

**ალაშია** - მეტად საინტერესო გვარია, რომელიც კაცობრიობის ეთნარქთან, ბიბლიურ ადამთან არის დაკავშირებული. ადამი ძველებრაული სიტყვაა და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს „ნითელ თიხას ნიშნავს“. ადამ ძირიდან წარმოშობილი გვარებია: საკუთრივ ადამია, ადამაძე, ადამიშვილი.

**ალექსანდრია** - გვარს სათავე დაუდო წმინდა მღვდელ-მონაგე ალექსანდრემ, რომელიც სხვებთან ერთად ნამეგბული იქნა სეპასტიის ტბასა შინა. ალექსანდრე ბერძნულად „მნეს“ ნიშნავს. ალექსანდრე - ძირიდან წარმოშობილი ერთადერთი ქართული გვარია ალექსანდრია.

**ბასილია** - გვარი წარმომდგარია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ნამეგბული ბასილ, იგივე ვასილი დიდი - კაპადოკიის მთავარეპისკოპოსისგან. სატყვა ბასილი ბერძნულად „სამეფოს“ ნიშნავს. იგივე ძირიდან წარმომდგარი გვარებია: ბასილაძე, ბასილაშვილი.

**გერგაძე, გერგაძეა, ჯგერანია** - ეს გვარები წარმოშობილია წმინდა გიორგისგან. მოგეხსენებათ, რომ წმ. გიორგი საქართველოში განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულითაა შემოსილი, ნიშანდობლივია, რომ თვით სამშობლო - საქართველოს უცხოელები წმინდანის ძვირფას სახელს - გეორგია (ჯორჯიას) უწოდებენ. გიორგი ბერძნული სიტყვაა და „მინათმოქმედს“ ნიშნავს. გიორგი ლათინურად წარმოითქმის, როგორც ჯორჯი, ფრანგულად - ჟორჟი, რუსულად - გეორგი, სომხურად - გევორქი, სვანურად - ჯგრაგი, ხოლო



მეგრულად - გეგეს და ზოგჯერ ჯეგეს სახით წარმოითქმის.

იგივე ძირიდან ნაწარმოები ქართული გვარებია: გეგენავა, გეგია, გეგეჭკორი, გიორგობიანი, გიორგანაშვილი, გიორგიძე.

**ბრიგოლია** - გვარის წარმოშობა, ჩვენი ღრმა რწმენით, უკავშირდება წმინდა მონამე გრიგოლ კრეტის ეპისკოპოსს. იგივე ძირიდან წარმომდგარი ქართული გვარებია: გრიგოლია, გრიგორაშვილი.

**დანელია** - გვარი წარმოშობილია დანიელ წინასწარმეტყველის სახელისგან. დანიელი ებრაული სიტყვაა და „მსაჯული ღვთის მიერს“ ნიშნავს. იმავე ძირიდან ნაწარმოები სხვა ქართული გვარი ჩვენს მიერ მოძიებული არ არის.

**დამენია** - გვარის წარმოშობას საფუძვლად დაედო რომში ნამებული, საკვირველმოქმედი, წმ.მონამის დამიანეს სახელი. დამიანე ბერძნული სიტყვაა და „დამოშინებულს, დამშვიდებულს“ ნიშნავს. იგივე ძირიდან წარმომდგარი გვარებია: დემიანენკო - უკრაინაში; დემინჩეკი - სლოვაკეთში; დემჩევი - ბულგარეთში; დემიანოვიჩი - სერბეთში; ხოლო ამ ძირიდან წარმომდგარი სხვა ქართული გვარები ჩვენ მიერ მოძიებული არ არის...

**კოზმავა** - გვარის წარმოშობა დაკავშირებულია, საკვირველმოქმედი, წმ.მონამის - დამიანესთან ერთად რომში ნამებული წმინდა მონამე კოზმას სახელთან. წმ.მონამე კოზმა განსაკუთრებით პოპულარულია მართლმადიდებლურ ქვეყნებში. ამ ძირიდან ნაწარმოები გვარია: კოზმანაშვილი.

**ოსებუა** - გვარი წარმომდგარია ბიბლიური იოსების სახელისგან. იოსები ებრაული სიტყვაა და „გამრავლებას“ ნიშნავს. იოსები ებრაულად წარმოითქმის, როგორც „ესებ“, ასევე წარმოთქვამდნენ ამ სახელს ძველად სამეგრელოში - „ესება“ და ზოგჯერ „ოსებას“ სახითაც გვხვდებოდა. ე.ი. ქართულში იოსების სახელის საწყის ხმოვან ბგერათა კომპლექსს იო - ს, მეგრულში შეენაცვლა ხმოვანი - ე და მივიღეთ - ესები, რასაც ხშირად აქვს გვარების წარმოშობის ისტორიაში. იგივე ძირიდან წარმოშობილი გვარებია: იოსებაშვილი, იოსებიძე.

**ლაზარია** - გვარი უკავშირდება ბიბლიურ ლაზარეს, რომელიც ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა. მეცნიერებში არსებობს მოსაზრება, რომ ლაზარეს სახელთანაა დაკავშირებული ეთნონიმი „ლაზი და „ლაზიკა“, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. „ლაზარე“ ებრაული სიტყვაა და „ღმერთია შემწე“ ნიშნავს. იგივე ძირიდანაა ნაწარმოები შემდეგი გვარები: ლაზარაშვილი, ლაზარიშვილი.

**ლუკავა** - ეს მეტად საინტერესო გვარი წარმოშობილია „ლუკა მახარობლის“ სახელისგან. ლუკა

ებრაულად „ნათელს“ ნიშნავს.

**მიქავა და მიქაია** - გვარები წარმოშობილია „მიქია წინასწარმეტყველის“ სახელთან. არ არის გამოცხადებული, რომ ეს გვარები „მიქაელ მთავარანგელოზის“ სახელთანაც იყოს დაკავშირებული. მიქაე ძველებრაულად „რომელი მსგავს არს ღვთისა“ ნიშნავს, ხოლო მიქაელი - „ვინ არს, ვითარცა ღვთისა“. იგივე ძირიდან წარმოშობილი გვარებია: მიქენაია, მიქაძე, მიქაუტაძე, მიქიაშვილი, მიქიანი.

**პირტანია, პირტახია, პირტია** - ზემოხსენებული გვარები უკავშირდება იესოს საყვარელი მოწაფის პეტრე მოციქულის სახელს. პეტრე თავდაპირველად სიმონად იწოდებოდა, ხოლო შემდგომ რწმენის სიმტკიცისათვის ქრისტემ მას უბოძა სახელი პეტრე, რაც ებრაულად „კლდეს“ ნიშნავს. მეტად საინტერესოა, რომ პეტრე მეგრულად წარმოითქმებოდა „პერტედ“. ხოლო მეგრელები პეტრე - პავლობის დღეს „პერტობას“ ეძახიან... პეტრეს წმინდა სახელისგან წარმომდგარი გვარები უხვადაა მსოფლიოს ნებისმიერ ქრისტიანულ სახელმწიფოში. ამ ძირიდან წარმოებული გვარებია: პეტრიაშვილი, პეტრიაძე.

**სიმონია** - გვარი წარმოშობილია ქრისტეს მოციქულის სიმონ კანანელის სახელისგან, რომელიც ანდრია პირველწოდებულთან ერთად პირველ საუკუნეში ქრისტიანულ სარწმუნოებას ავრცელებდა საქართველოში. სვიმონ, სიმონ ებრაული სიტყვაა და „შემასმენელს, ყურადმღებელს“ ნიშნავს. ამ ძირიდან წარმომდგარი გვარებია: სიმონიშვილი, სიმონიძე.

**სოლომონია** - ეს მეტად საინტერესო გვარი წარმოშობილია სოლომონ მეფის (ბრძენი) სახელისგან. იმავე ძირიდან წარმომდგარი გვარებია: სოლომონიშვილი, სოლომნიშვილი, სოლომანაშვილი.

**ზაქარია** - გვარი წარმომდგარია ზაქარია წინასწარმეტყველის სახელისგან. ზაქარია ებრაული სიტყვაა და „ხსოვნა ღვთისას“ ნიშნავს. იგივე ძირიდან წარმოშობილი გვარებია: ზაქარიაძე, ზაქარაშვილი, ზაქარეიშვილი, ზაქარაძე, ზაქროშვილი.

**მარკოზია** - აღნიშნული გვარი წარმოშობილია მარკოზი მახარობლის სახელისგან. მარკოზი ებრაული სიტყვაა და ცოტა უცნაურად „მკნობადის“ სახით ჟღერს. იგივე ძირიდან წარმომდგარი გვარებია: მარკოზიშვილი.

ბიბლიური წარმოშობის გვარები საქართველოს მასშტაბით სრულიად ახალი თემაა და მომავალში სერიოზული კვლევა-ძიების საგანი უნდა გახდეს.

**რამინ ახალაია**

ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილი მეცნიერ-მუშაკი

# ვიტალი ყურაშვილი



# გზა უკვდავეზისაკენ

უხსოვარი დროიდან ჭყონდიდი წარმატებული რელიგიური ცენტრი იყო. მაღალ ბორცვზე იდგა ხომონი, ჭყონის (მუხის) უზარმაზარი ხე. იგი წარმოადგენდა ნაყოფიერების, გამრავლებისა და ოჯახის კეთილდღეობის მფარველ კოპუნისა წარმართულ სალოცავს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანს სცემდა. პირველი ეკლესია სწორედ აქ მდებარე მუხის ადგილას აშენებულა ანდრია პირველწოდებულის სახელზე, რომელმაც სამეგრელოში ქრისტიანობა იქადაგა. მე-7 საუკუნეში აშენდა მარტილ-ჭყონდიდის ტაძარი, რომლის ტრაპეზი დაფლულ სინმინდეს — მოჭრილ მუხის ფესვებს დაეფუძნა.

სწორედ რომ ამ დიდებული მიწის, ჭყონდიდის ოდაბადემ შვა ისეთი ღირსეული ოჯახი, სადაც ცოდნის, ინტელიგენტობის, დედაშვილობისა და ოჯახისშვილობის ლიბრეტო დაიწერა. ამ ყველაფრის შემოქმედი კი მღვდელი ეპიფანე ყურაშვილი და მისი ცხოვრების მეგზური, მარიამ გაბუნია გახლდნენ.



ვიტალი ყურაშვილი და აგნესა გურგენიძე

ეპიფანე საეკლესიო პირი იყო. სოფელში სახელდიდებითა და კოლხური ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა. ეკლესია გაიხადა ნავსაყუდელად. მისი ძალისხმევით სოფელში ოთხწლიანი სასწავლებელი დაარსდა. მას შემდეგ ოცდახუთი წელი ემსახურა მშობლიურ ჯოლევს. მაგრამ ყველაზე დიდი, რაც მას სამშობლოსთვის შეეძლო ეკეთებინა, ეს მაინც ოჯახის გვირგვინი იყო — ხუთი დიდებული ვაჟკაცი აღზარდა, რომელთა გამოც მათ მშობელ დედას დედობის ორდენი გადაეცა. ეს არის სწორედ ჩვენი ქართველობის სიმალე, აფერუმ მის დედობას! აღზრდაც არის და აღზრდაც! ყურაშვილების ოჯახი ნიჭიერებისა და ინტელექტუალიზმის შეუდარებელ სამჭედლოდ იქცა. ხუთი ვაჟი — ხუთივემ საკანდიდატო, შემდგომ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ოთხმა მათგანმა ექიმობა არჩია, ერთი ისტორიკოსი იყო. ეს ყურაშვილების დინასტიაა, რომელთაც ერთი პატარა სოფელი ჯოლევი ესოდენ გააბრწყინეს და დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და თანამორბედის — გიორგი ჭყონდიდელისეული „ოდაბადე“ ნიჭიერებისა და კაცურ-კაცობის მანტიით შემოსეს.

ამ დიდებულ კუთხეში დაირწა კაცობისა და მედიცინაში აკადემიკოსის ტიტულოსანი ვიტალი ყურაშვილის აკვანი. ოთხი ძმის შემდეგ მეხუთე „სკუა“ მოევილინა ყურაშვილების სახელოვან ოჯახს. ხუთი ბრგე, ახოვანი, ინტელექტუალი ვაჟკაცი სწორედ რომ ერისა და ქვეყნის სიამაყენი იყვნენ. ბატონმა ეპიფანემ ცოდნა და რწმენა უფლისა ერთნაირად ჩაუნერგა შვილებს და დღენიადაგ იმის მქადაგებელი იყო, რომ „თქვენ თქვენსავე სამშობლოში ოჯახის დესპანი ხართ, ქვეყნის გარეთ კი სამშობლოსიო“. ამ იდეოლოგიით დამოძღვრილმა ძმებმა



სამამულო ომში თავი გამოიჩინეს და ქვეყნის წინაშე ვალმოხდინი დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწა-წყალს.

ფილიმონი, ბორისი, ალექსი, მელენტი, ვიტალი, აი ძმები მეცნიერები, ძმები პროფესორები, ძმები აკადემიკოსები, ძმები ქართველები, ძმები ოჯახის-შვილები... მართლაც და სიამაყეა, ქართველობის სიამაყე. მათი გამზრდელი მშობლები კი, შესაბამისად, როგორც განსაკუთრებული ღვანლის მქონენი, უკვდავების საუფლოს ბინადარნი არიან.

ახლა კი უმცროს ყურაშვილზე შევჩერდეთ; ვიტალი 1921 წელს დაიბადა. 1942 წ. დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. სწავლის პერიოდში გაიცნო თანაკურსელი, რაჭველი გოგონა აგნესა გურგენიძე. ომი ახალი დაწყებული იყო და ახალგაზრდა ექიმიც, დანარჩენ ძმებთან ერთად, ჯარში გაიწვიეს, მაგრამ ბედმა ყურაშვილების ოჯახს ხუთივე ძმა შინ ჯანმრთელი დაუბრუნა. უფრო მეტიც, ვიტალი მთავრობის ჯილდოთი მკერდდამშვენებული ოჯახს დაუბრუნდა. შინ მშვიდობით დაბრუნდნენ მისი ძმები, ხუთი ძმა — ხუთი მეცნიერებათა დოქტორი (ისტორიის, ბიოლოგიის, მედიცინის), ხუთივე პროფესორი და ხუთივე აკადემიკოსი. პოი, საოცრებაც, უფალმა მართლაც რომ ნიჭს მისცა გზა ფართო და არც ღირსებისთვის დაუზოგავს რამე.

დიახ, ვიტალიზე გიაბობდით, ქვეყნის წინაშე პირნათლად ვალმოხდელი ჭაბუკი შეყვარებულთანაც ტარიელივით ამაყი დაბრუნდა და კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი შეემატა ქვეყანას.

ამ ყველაფრამდე კი იყო უდიდესი გზა აკადემიკოსისა, რომელიც საზარელმა ომმა ვერასგზით დააზიანა და 1948 წელს საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, ასპირანტურა ლენინგრადის სამედიცინო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში გაიარა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იქვე, ვირუსოლოგიის განყოფილებაში იწყებს მუშაობას. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1966 წელს კი სადოქტორო დისერტაცია. მისი ხელმძღვანელი და გზამკვლევი იყო ა. სმოროდინცევი — საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექსპერიმენტალური მედიცინის ინსტიტუტში ვირუსოლოგიის განყოფილების თავკაცი, ლენინისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ანტივირუსული იმუნიტეტის პრობლემის წამყვანი სპეციალისტი, მრავალი ეფექტური პრეპარატის ავტორი.

1954 წელს ვიტალი ყურაშვილმა თბილისში ვაქცინებისა და შრატების საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გახსნა პირველი ვირუსოლოგიური ლაბორატორია საქართველოში, იგი იყო ვირუსოლოგიური კვლევის ფუძემდებელი რესპუბლიკაში. მისი მეცნიერული კვლევა მოიცავს ეპი-



დემიოლოგიის, ინფექციური პათოლოგიის კლინიკის, იმუნოლოგიის, მიკროორგანიზმთა გენეტიკისა და სხვა საკითხებს. დღესაც თბილისის ექიმთა და ხელოვნების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრის ყოფილი გამგის, ვიტალი ყურაშვილის შრომები დეტალურად ციტირდება გრიპისა და ანტიგრიპოზულ იმუნიტეტზე გამოქვეყნებულ რუსულ, ინგლისურ და სხვა ენებზე გამოცემულ სახელმძღვანელოებში.

აი, ასეთი წარმატებული ოჯახი შექმნეს ბატონმა ვიტალიმ და ქალბატონმა აგნესამ. რომელმაც მთელი თავის სამედიცინო განთქმული კარიერა მეუღლის წარმატებას შეენირა. ქ. აგნესა იყო ქირურგის, კონია ერისთავის ასისტენტი, თავადაც სახელგანთქმული ექიმი.

ამ დიდებულმა ოჯახმა სამი ღირსეული ქალი გაზარდა:

**ნელი** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, მუდმივმოქმედი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიური დოქტორი ბიოლოგიაში.

**ნათელა** — უროლოგიის ინსტიტუტის წამყვანი ექიმი-თერაპევტი, აკადემიური დოქტორი მედიცინაში.

**ბელა** — სამედიცინო უნივერსიტეტის კვებისა და ასაკობრივი მედიცინის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, აკადემიური დოქტორი მედიცინაში.

ქალბატონები ოჯახისთვის ნიშნული მაღლით გამოურჩევიან განგებას, გარეგნული სილამაზე და მედიცინის დოქტორობა მათი საგვარეულო ნიშაა, რითაც ამაყოფენ კიდევც.

როგორც ჭაბუა ამირეჯიბი იტყოდა, „ცხოვრება არის ის, რაც გახსოვს. დანარჩენი არსებობაა“.

მათ ხომ ყველაფერი ახსოვთ — გზა მშობლებისა, მამის ტრიუმფი და ცხოვრების გვირგვინი, რომელსაც უკვდავება ჰქვია.

წელს ბატონი ვიტალი 95 წლის გახდებოდა!  
**ნინო ჩხევიძე**



# ქართული ხალხის აზრები

## გოგოლის მთავრული ჯალადი

ქალადი რიონისპირა სოფელია ფოთის აღმოსავლეთით. აქ 1803 წელს დაიდო მეგობრობის ტრაქტატი რუსეთ-სამეგრელოს

შორის, რითაც სამეგრელოში შენელდა თურქეთის შიში, თუმცა ფოთი ისევ თურქების ხელში იყო.

„მადლობა ღმერთს! დღეიდან არ მოგვტაცებენ შვილებს, უშიშრად ვიმუშავეთ ყანებში. შევალთ ტყეში სანადიროდ დაილოცოს განმათავისუფლებლის მარჯვენაო, ღაღადებდა ხალხი.

მიდიოდნენ ერთმანეთთან მოსაკითხად, მოსალოცად. ხალხმა იგრძნო, რომ ახალი ცხოვრება იწყებოდა, მალე ფოთიდან ახალი სასიხარულო ცნობა მოვიდა; რუსის ჯარი თავის სადგომში ბრუნდება, ქალადიში გამოივლის და საბაჟოში დაისვენებსო.

მოვიდა ჯარი, რომელმაც ფოთი დაიბრუნა. ამიტომ იყო, რომ ხალხი რიონის ნაპირას საზეიმოდ გამოეფინა, ქალებსა და ბავშვებს ხილით სავსე კალთები ეჭირათ. მამაკაცებს სახელდახელო სუფრა გაეშალათ და ზედღვინოსა და არაყს ალაგებდნენ. ზაფხული იწურებოდა და ხილი ბლომად ჰქონდათ სოფელში.

ფოთი თუკაშვამა ჰიკრეალად 1725 წელს მიიტაცეს, დიდი ციხე ააგეს, შიშ ბაკნიზონი დააყენეს და ფაშა დასვეს. მთელი მე-18 სუპუნე აწვალბდნენ თუკაშეთის ფაშები ფოთს და სამეგრელოს. იტაცებდნენ ბაწრეებს და ყოველ წელიწადს ათასობით გოგო-ბიჭები ბაჭყალად თუკაშეთში ტყვედ. იბრძოდნენ ჩვენი ხალხი, იღვრებოდნენ სისხლი და დედების ტკიპილი. უბედურებას ბოლო აკ უწანდა. ასე იყო 1809 წლამდე. ამ წელს რუსთა და ქართველთა ბანკითანებულმა ჯარმა ფოთი დალავა და თუკაშე ბაკიკა. ფოთის ციხეში რუსის ბაკნიზონი ჩაღბა. ფოთის ბანთავისუფლებას ამბავი მიტხხალივით მოფრინდა ჯალადიში. ყველა ოჯახს დაუარა, ბანანარა სოფელი. ატყდა ზაკის რეკვა, დატყდა გუკი და პაკაკლისი ბადანინადეს.



ატამი, მსახალი, თეთრი და შავი ყურძენი, ბროწეული, ლეღვი, ძველი ღვინო. შუა დღეს, სოფლის ბოლოს მუსიკის ხმა გაისმა. რუსის გენერალს ზარზედმით უნდოდა ჭალადიდში შემოსვლა. სპილენძის საკრავების ომახიანმა მუსიკამ სიჩუმე შეძრა. აქამდე ამ არემარეში მხოლოდ ცხენის ჭიხვინი, ირმის ყვირილი და ტურების ჩხავილი ისმოდა. იშვიათად თუ ბუკი დაიბუბუნებდა, ახლა კი ეს ახალი ხმა გუგუნითა და ზეიმით მოდიოდა.

— თურქი გაიქცა ძმებო! გამოდით გარეთ! გაიხარეთ... და გახარებულები ყიჟინით შეხვდნენ რუსის ჯარს...

...ხოლო, როდესაც რუსის ჯარმა ძლევის სიმღერა დააგუგუნა, ეს უცხო სიმღერა ბუკის ხმასავით გადაედო რიონის ჩუმ ნაპირებს.

მეგრელებმა გაოცებით შესძახეს ...თოჯინა, განა მღერიან? ეს დალოცვილი მეგრელები ხომ ნაზად და სევდიანად მღერიან?

— შესვენება! ბრძანა გენერალმა, როცა ჯარი საბაჟოში შევიდა.

— დატრიალდნენ სოფლელები. აბა ხილი, აბა ღვინო, აბა მოხარშული გოგრა და სიმინდი. გენერალს და ოფიცერს საგანგებო სუფრა მოუწყვეს. იგი მიაერთვა გენერალს ამ სოფლის მკვიდრმა, ჯარის მეგზურმა, ივანე სესკურიამ. ივანე ადრე ეხმარებოდა რუსებს..... მეომარი კაცი იყო, იცოდა თურქული და რუსული ენები. ფოთის ციხის დალაშქვრისას ივანე ჭალადიდის სარდლის ქოჩაქიას რაზმში იყო. როცა რუსის არტილერიამ ციხის გალავანი გაარღვია, სამეგრელოს დედოფალმა ნინომ, ერეკლე მეფის შვილისშვილმა, ხმალი იძრო და ქართველებს შესძახა:

— აბა, შვილებო, მომყევით? დედოფალმა დეზი ჰკრა ცხენს

და პირველი შევარდა გალავანში, ივანე სესკურია ფეხდაფეხ მიყვებოდა დედოფალს.

სადილი რომ დამთავრდა, გენერალმა აყრა ბრძანა.

... თქვენო აღმატებულებავ! - გამოეჭიმა გენერალს ადიუტანტი. ერთი დაჭრილი მეომარი

გასწორდა, ცალი ხელი ხანჯლის ვადაზე დაიდო, ცალით უღვაშები აიგრიხა და გენერალს ამაყად შეხედა.

— ჩვენ შეგვიძლია მეგობრებს თვითონ ვცეთ პატივი, თქვენო აღმატებულებავ! თქვენმა სალდათმა თავი დასდო ჩვენი საქმი-

**ხალხმა იბრძნო, რომ ახალი ცხოვრება იწყებოდა მალე ფოთიდან ახალი სასისხარულ ცნობა მოვიდა. რუსის ჯარი თავის სადგომში ბრუნდება, ჭალადიდში გამოივლის და საბაჟოში დაისვენებს. ჭალადიდის პატარა სოფელია საბაჟო, სწორედ აქ დაიდო ტრაქტატი 1803 წელს რუსეთ - სამეგრელოს შორის.**

სალამომდე ვერ გადაიტანს, შეიძლება უფრო ადრეც მოკვდეს! ექიმი ამბობს, ფორანზე ჯაგჯაგს ვერ აიტანსო.

— ეს, რომელი? ფეხში რომ არის დაჭრილი? გოგოლი?

— სწორედ ის, თქვენო აღმატებულებავ! ექიმმა თქვა, თურამე სასწაულმა გადაარჩინა, ცალი ფეხი მაინც დაუმოკლდებაო!

— მაშ, დავტოვოთ აქ. დაუძახეთ მეგზურს, ის ხომ აქაურია? უხმეს სესკურიას.

შენ შენი მოვალეობა უკვე შეასრულე და აქ რჩები. ერთი დავალებაც უნდა შემისრულო.

— გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ! - გამოეჭიმა გენერალს სესკურია.

— ერთი ჩვენი დაჭრილი მეომარი სიკვდილის პირასაა, დაგიტოვებთ და უპატრონეთ!.. რომ მოკვდეს ნაკურთხ მიწაზე დამარხეთ... ეს ფული კი დახმარებად მომიცია. გენერალმა ფული სესკურიას მიანოდა.

- ჩემი პირადი ფულია, არ მენანება! კარგი ჯარისკაცი იყო.

ივანე სესკურიამ ბოხობი ჩვენებურად განზე გადაინია, წელში

სათვის და დღეს ჩვენ ვართ მისი ჭირისუფალი. ფული რა შუაშია? - როგორ შეიძლება ეს?

ახლა ერთმანეთს პირისპირ იდგა ორი მართალი ადამიანი ერთი - დიდი ძალაუფლებით აღჭურვილი გენერალი და მეორე - უჩინარი გლეხი! მათ თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს და მიხვდნენ, რომ ერთს ალაპარაკებდა კეთილი გული, ხოლო მეორეს დიდი ეროვნული შეგნება!

— დაჭრილს ჩაგაბარებთ, ადიუტანტი - უთხრა გენერალმა სესკურიას - ხოლო შენი სიტყვისათვის მადლობას მოგახსენებთ!

ბანაკი აიყარა, რუსის ჯარი გზას გაუდგა. სესკურიამ ჩაიბარა დაჭრილი.

ჩვენი რუსი შეარქვეს მას, სიკვდილს გადაარჩინეს, ოღონდ ცალი ფეხი დაუმოკლდა. მან ცოლად შეირთო ივანე სესკურიას მეზობელი ქალიშვილი და ახალ გარემოში შესანიშნავად გაიმართა ხელი.

გოგოლის შთამომავალნი დღესაც ცხოვრობენ ჭალადიდში.  
**როდიონ ქორქია**



# ქვემო მადეუა-უბილავა



## მიყვარს ნიგნი

მე ნიგნების სიყვარული  
 გულში ჩამრჩა ბავშვობიდან  
 რაც უნდა მიჭირდეს,  
 ვერ ჩავუვლი მათ შორიდან.  
 სწორედ იმ გზით დავდივარ,  
 სადაც ნიგნი იყიდება,  
 მაქვს ნიგნები მე ქართული,  
 რუსული და ინგლისური,  
 სხვა ენები რომ ვიცოდე,  
 უარს არ მათზე ვიტყვოდი.  
 ზოგჯერ ტელეფონითაც კი  
 გვთავაზობენ ჩვენ კარგ ნიგნებს,

ნიგნს მარტო ჩემთვის არა,  
 საჩუქრადაც მას ვყიდულობ.  
 სტუმრად სადმე რომ მიდიხარ,  
 აქ მოდაში არის, რომ წაილო  
 იქ ტორტი და შამპანური,  
 ან რაიმე სუვენირი,  
 მაგრამ მე მათ ნაცვლად მიმაქვს  
 ნიგნი ან რაიმე ტომეული.  
 და ამას მე არც კი ვნაღვლობ,  
 ამით ხარობს ჩემი გული.  
 ახლა ნიგნებს ვინ აგროვებს?  
 ის მტკაში აღარ არის,

მაგრამ ჯიბის ტელეფონში,  
 რაც გინდა იმას იპოვი...  
 მოქანდაკე და მხატვარი,  
 პოეტი და მთარგმნელი,  
 რომელ ენაზეც მოისურვებ,  
 ის იმ წუთში შენ წინ არის.  
 არ გვჭირდება ბიბლიოთეკა,  
 არც მუზეუმი, არც გამოფენა,  
 იმ პატარა ტელეფონში  
 რა არის, რომ არ ეტევა?



## ჩქინ უნჩაჰ სქუა დათოს

ოჯახიშ უნჩაჰ სქუა  
 მანგარი სახილოო ცოფე,  
 თის ორკოჩი მიახიოლანს,  
 თის ირკოჩი ხარენს,  
 შორეული გეგონენსენ,  
 თით მოურს მიოხვამუშა,  
 მითინი შორს ქორენდა,  
 ტელეფონით გირეკნს  
 დათოს ჭემ მეტიქ გოუჭირდ  
 თე ქიანაშ მოვლენაქ  
 დო ეთერ უბილა თექ ბარდკონი,  
 ვართ ძირენდ ინა თუ ქიანას,  
 ბალნიცას ბნვალენდი  
 მა ჟირი დღას,

მარა ღორონთიმ ჭყოლოფათ  
 დო ეთერიშ ხენწყულათ  
 ქემმეძინეს ჩქე უნაკლო სქუაქ.  
 ბალანობას მანგარი სკამი რდგ —  
 ჩხვინდი კუნტა, პიჯი  
 კვარკვალა,  
 თოლიშფერი ჟორამ ულუ  
 იონა ბაბუსალო ოსარსალია.  
 ტანო დათო სუსტ დღას ვარდ,  
 ეულირ ბულკისალო, დო ირო  
 ოფიშკვინანდ,  
 მარა სიმაღლეთ ჩქიმიანეფს  
 ვაგურუ და ქიდოსკიდ  
 ტანდაბალო,

თუმცა ამდლა მუშ ოჯახის  
 მუთუნს ვაცილ თენა შურო...  
 მუშ ჭიჭენობაშ სურათეფი  
 ამდლა მარის ოშინანს.  
 დათოსგე ჯგირი სმენა ულუდ,  
 ქოსხაპუნდ „დომ კულტურას“  
 დო კონცერტეფით გქიმურდეს  
 აფხაზეთის გვალო ბრელი დიხას  
 ქართმათ ქიმიყუნეს დო  
 ჟირ-სუმშათ მათ ქოუჯინი  
 ტელევიზორით ინეფიშ  
 გიმოულას.



მოთაღვს

ღორონთიში ჭყოლოფათ  
მოთაღვსი ბრელი პუნა:  
ხუთი ბოში, სუმი ძლაბი,  
მუს რე თინეფი ვაჭიშგნა?  
გურაფაშენი ჯგირი რენა,  
ქოთ იბირა, ქოთ სხაპუნა.  
მუნეფიში ნახანტეფით  
გაგმანწყუეს გამოფენა.  
ირ წანას ღონისძიებეფშე  
დიპლომეფი ქუმულუნა.  
ჩქინი ანა დიდი ცირა რე  
სო რე თინა ვეგლაყუნა?  
გუშულა ბრელი ბძირი,  
იბორს თინა სოლოს,

ტრიოს დო ქოთ გუნდის.  
არძას ართნერო იბირს  
უცხოხოთ დო მშობლიურს.  
თეონა ვიოლინოში გილურს,  
ვაპოფექ მა თიმ მსმენელი,  
მარა ცუდეს ვარჯიშენს,  
ვორექ მა თით კმაყოფილი.  
დალიმ სანდროს ანუხენს  
ბრელ მუთუნიმ ალერგია,  
დო თეშენი რე თუ ბალანას  
ჰაერს ირო უთირანა,  
მინშა გვალა უხუჯანს,  
მინშა გალაყუნა ზღვაშა.  
კანკანემა საჭირო რე

მინერალურ წყარ გეშვას  
დო თეშენ რე დალი დო ჟორაქ  
გოლა ბორჯომშა მიდართეს  
დო თექ შუნა ართო წყარს.  
ნიკას, გიორგის, დათოს  
სხაპუნა მანგარო ოსქვანა,  
თიშენი რე ხშირ-ხშირას  
თინეფ კონცერტეფით გუშაყუნა.  
თევრენ მოლალირ დიპლომეფი  
დო ქეხის სიგელეებით  
მშობლევს ხალისის არძენა  
დო ბაბუეფს დო ბებიეფს  
სიცოცხლეს მიგრძელენა.




ჩქინი ჭიჭე მარიამს

ამჭუან ადრე გობკურცხი,  
მარა დიო ვებდგოთექ,  
ლუმა დათოქ მომჯლონესგნ,  
თი ჩატის ქიგნუოჯინექ.  
ვიბერ დო ვოთსაპიშ  
ჭყოლოფათ რე ჩქინ  
სქუა დო მოთაღვს  
ვორწყეთ ირო არძას.  
დო თინეფიში მოქცევათ  
ჩქი ირო ბხარენტენ.  
ამდღარ მუნაჯღუნა ვიდეოს  
ნათია არზენს, ოჭკუმალს  
მუში ჭიჭე მარის,  
ინა ველოსიპედის გეხე  
მუშ გოშალირ ზალას,  
ნათიამ ხელეფს ვორწყეთ,  
ოგურუანს მარიამს  
ხელეფიშ სკვამას დორთაფას,

მარის პიჯი გოკასილი აფუ,  
მარა წელს ურთანს სკვამას  
დო წელიშ რთაფანკემა ართო  
ქოთ ხელეფს უცუნუნანს.  
მინშა გვალა გაჩენდ დო  
ურჩქილე მუსიკას  
დო უკული კინ აგრძელენს  
კანკილ ლუკმაშ რეინტუას,  
მუშ ბიხვალ ხე დო კუჩხის  
დო წელსგთ ართო კინი ურთანს.  
ვორწყეთ, მუსიკალური რე  
ჩქინი ჭიჭე მარიამი  
დო მუქ ქიკორინუდა  
დიდ ხელოვნებაშე გონწყმილი  
აყი შარა დო კარი.  
დათოქ თეიშათ მომჯღუნეს  
შხვა დო შხვა ვიდეოეფი.  
იმნკემა ინა გვალა ჭიჭე რდგ,

მარა დიდცალო ნჩურუნდუ  
მუნეფიში აბანოს.  
კისერს კამერა გოუძგდ,  
წყარს ვენიშკვიდეუკონი,  
ხე დო კუჩხის იხვარუნდ —  
ითამ დიდ ცირა რდკონი.  
მუ რე ამდლა ჭიჭეს ვაურჩქუ,  
მუ რე ინეფს აკვირენსგნ,  
დო ჩქინეფიშ ჭიჭენობას  
საქმე გვალა შხვანერი რდგ.  
დიდეფს ხეშა გემჯანდეს  
ჩქინი ჭიჭე ბალანეფი,  
მოხვარე წყარს გემბუნდეს  
ჩქი საპონს ვუსვანდით.  
ჯვეშო მი რდ ჭიჭელეფს  
ტაშტის გიოხონუნანდ?  
ჟირ კორი იშენი ქაკოდ  
ართ ბალანამ ბონუას.



# რეგენები, ფაქტები, შემხარაჯი ისტორიები

სამეგრელოს, კერძოდ, კი მარტვილს, მრავალი საინტერესო ლეგენდა უკავშირდება. გავიხსენოთ რამდენიმე მათგანი:

„ბუა დიდე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი, ჭიფე, ჭიფე ვარსკვლავები, და დო ჯიმა ჩქიმი“ (მზე დედაა ჩემი, მთვარე-მამაჩემი, თვალბრიალა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი), ასე მღეროდნენ ჩვენი წინაპრები. განსაკუთრებით გამორჩეული იყო მარტვილში მზისა და ხის კულტები. მარტვილის მუხაში, ჭყონდიდში მუხის უკვდავებასა და სიკეთეში ხალხი მზის სულსა და სახიერებას ხედავდა. ახლაც კი შემორჩენილია ხალხში ლეგენდები, რომლის მიხედვით, მუხა ისეთი მაღალი და დიდი ყოფილა, რომ ერთი ტოტი მდინარე აბაშის ნაპირებამდე ჩადიოდაო. კარგი ვაჟკაცები მისი ტოტით ამოდიოდნენ თურმე იმ მაღალ გორაკზე, სადაც ახლა მარტვილის მონასტერია განთავსებული სწორედ ეს მუხა ყოფილა სარიტუალო, საკულტო ბომონი. ხალხს ასე სწამდა, რომ მასში „კელები“ ანუ კერპი იჯდა. იგი მზის ძალით შემოსილი ადგილის დედად მიაჩნდათ. მის ძირში ქურუმის ქვის სავარძელი მდგარა, ამაღლებულ კვარცხლებზე სამსხვერპლოს გვერდით მზის გამოსახულებანი ქვის დიდი ლამბაქი ყოფილა. ლამბაქს ხვრელები ჰქონია, საიდანაც მუხის ფესვებთან ჩადიოდა მსხვერპლის სისხლი თავ ყრილობა მუხის გარშემო მის პატივისცემად ბუამდლას მზის დღეს ხვდებოდა. ქურუმები აღავლენდნენ ლოცვას ხე-კერპის მიმართ, მისალოცად მოსული ხალხი პირქვე დამხობილი ემთხვეოდა მის ფესვებზე, მიწას, შემდეგ კი იწყებოდა სარიტუალო მისტერია. მისტერიის დროს სრულდებოდა სიმღერა : ო ბუა დია ო ლორნთი, სი მარდინი, სი კეთილი, სქანი მარდი გუთიბინე ჩქინი ხალხის ( ო , მზეო დედა, ო ღმერთო, შენ მაღლიანო, შენ კეთილო შენი მაღლი გაუ-

თბე, გამოაყენებინე ჩვენ ხალხს). როცა მღეროდნენ და ცეკვავდნენ, აღმოსავლეთისაკენ, ანუ მზისკენ ჰქონდათ პირი მოქცეული. მისტერიის დასრულების შემდეგ მზის მიმართულებით პირქვე დაემხობოდნენ და რამდენიმე წუთს ასე ჩუმად იწვნენ თურმე. შემდეგ წამოდგებოდნენ და აქვე ტეხდნენ პირველ ლუკმას. შემდგომზე კი ერთ-ერთ ასეთ ბუამ დლას შეკრებაზე კენჭისყრით აირჩევდნენ სამი თვის დედის ერთა ჩვილს, რომელიც მშობლებს ნებაყოფლობით უნდა შეენირათ მსხვერპლად მუხისთვის. ამ დღისთვის სპეციალურად საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი დედა ყვავილებით მორთული ჩვილით ჯდებოდა ეტლში, რომელსაც ჭყონდიდის ფესვებამდე სიმღერით და ლოცვით მიჰყვებოდა ხალხის ნაკადი. აქ მთავარი ქურუმი შემოატარებდა ირგვლივ ხეს დედა – შვილს, შემდეგ დედას აძლევდნენ ოქროსტარიან ბასრ დანას, დედას მოჰყავდა შვილი სამსხვერპლოზე და ყელს გამოლადრავდა მას. შემდეგ ჩვილის სისხლით ირწყვებოდა მუხის ფესვები. ყელგამოლადრულ ბავშვს აწვენდნენ სპეციალურ ემბაზში.

ბალზამში შეახვევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ხალხი დაჩოქილი შეჰყურებდა ყველაფერს. თუ ცეცხლი თავისუფლად გაივლიდა მუხის ფოთლებს შორის, ის წელი ბედნიერი და ნაყოფიერი იქნებოდა, ხალხს მტერი არ შეაწუხებდა. ეს რწმენა ისე ძლიერი იყო, რომ მშობლები ამ დიდი სიკეთის თავმიზეზად ძლიერი იყო, რომ მშობლები ამ დიდი სიკეთის თავმიზეზად თვლიდა თავის თავს და მაღლობას აღუვლენდა კერპს. ასე გრძელდებოდა საუკუნეები...

ქრისტიანობის გავრცელებას I პერიოდში, როცა კოლხურ წარმართულ სალოცავებს ქრისტიანული რელიგიის სიომ ეჭვის ფერფლი მიაბურა თავს, დიდი ჭყონის კერპის მიმართ ასეთივე ეჭვის და



კრიტიკის ატმოსფერომ დაისადგურა. ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს საინტერესო ლეგენდა, ასე დიდი რუდუნებით რომ იცავენ მარტივების მიდამოებში. დედა რომელსაც კენჭით ერგო შვილის მსხვერპლად შენიშვა, გულით წინ აღუდგა ამ მოვლენას, არ ემეტებოდა ჩვილი სამსხვერპლოდ. თუმცა ვერაფერი გააწყობა. დედა ქალით ჩასვენს ყრბით ეტლში და აიყვანეს ჭყონდიდის მაღლოგზე. დედამ ჭყონდიდის ტრაპეზთან კატაგორიულად უარი თქვა შვილის მსხვერპლად შენიშვანზე. მაშინ ქურუმებმა იგი ტრაპეზთან დააჩოქეს, ქალით დანა გააყრვივნეს შვილისათვის, სულ თრავით მისსივი ხალით სისხლით შეღებეს მუხის ფსევები. შემდეგ თვითონვე აიტანეს ტრაპეზზე, ხალხამში შეასვიეს და დანავს, დედა კი იქვე უგონოდ იყო მიგდებულ. მისთვის ყურადღება არავის გამოუჩინია, სანამ ეს ყველაფერი არ დამთავრდა. პოლოს ურჩი დედაც ქურუმებმა მოკლეს. თუმცა იმავე საღამოს მარტივლის მოსახლეობას დაუნახავს, თითქოს მთავარ განათივულ გალავანზე გადმოდგა დედა, რომელსაც ერთი დღის განმავლობაში თმა გასთითრებოდა და თეთრი თმის დალაღობაში კოჭაბამდე განკუთვნილი გაჰყვიროდა: მა, რვილი სკუა! (მა, მოგაკალი, შვილო) ასე დარჩა საუკუნეების განმავლობაში ეს ლეგენდა ნიშნად ნარმარტული რელიგიის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტისა. ხალხი ირწმუნება, რომ სწორედ განწირული დედის სიტყვებიდან წარმოდგა სიტყვა მარტივილი.

\*\*\*

ესლა მოგითხრობთ ლეგენდაზე, რომლებიც დღესაც გავრცელებულია მარტივლის რაიონის ბევრ სოფელში. ეს „ჯინჯის“ ანუ ძირის სალოცავია: გვარი ირჩევს თავის უხუცესს წარმომადგენელს, რომელსაც ევალება ამ გვარის წევრების შეკრება წელიწადში ერთხელ და მათი დალოცვა. ამ უხუცესს მახვამურს უწოდებენ. ყველა მლოცველს მოაქვს თავლის სანთელი, სანთლით ხელში იჩოქებს ძელის წინ. მახვამური მის მიერ მოტანილ სანთელს მოუკიდებს, დაჩოქილ მლოცველებს თავზე შემოატარებს და ძელის ტანზე მიაკრავს, შემდეგ კი იწყებს ამ გვარის წევრების დალოცვას. მახვამურის ინსტიტუტი დაახლოებით ხევსიბერის მსგავსი ინსტიტუტია.

დედას, ქალს, მანდილოსანს ჩვილით ძალიან არ შეუყვებს, ასე სჯერათ სამეგრელოში დღესაც. ერთი ძველი ლეგენდაც ამას მოგვითხრობს: ერთხელ მტერი შემოსევია თურმე სოფელ ნახუნაოს. სოფელში ყველა კარი გამოკეტილა, ხალხი ტყეში გახიზნულა, მხოლოდ ერთ ფაცხაში დარჩენილა



დედა შვილით. ქმარი სახლში არ იყო და ოჯახმა გახიზვნა ვერ მოასწრო. თურქმა თურმე ამ ფაცხასაც მიაღწია. მივარდა ქალს, ბავშვი ხელიდან გააგდებინა და გაუპატიურება მოუნდომა. მაშინ ქალი ყელში კბილებით ჩააფრინდა მტერს და ყელი გამოლრღნა. ქალმა ბავშვს ხელი სტაცა და ტყეის მისცა თავი. თავგანწირულად მიიწვედა წინ-წინ. უცებ წინ მგელი შემოეყარა, მგელმა შეშინებულ ქალს შეღმუვლა, თათი ფეხზე შემოჰკრა და წინ გაუძღვა. ქალი გულზე მიკრული ჩვილით მიჰყვებოდა მგლის ნაკვალევს, მგელმა ქალი სულ ზემოთ, ჯიხასთან, (ციხესთან) მიიყვანა, ეს კი უკვე უსაფრთხო ადგილი იყო.

\*\*\*

კომუნისტების შემოსვლას უკავშირდება ლეგენდა, რომელიც თითქოს წეს-ჩვეულებად იქცა. როდესაც კომუნისტებმა ეკლესიების ნგრევა და სინმინდეების შეურაცხყოფა დაიწყეს, ეკლესიის მამებს მორწმუნე ხალხისთვის ეკლესიის ნივთები დაურიგებიათ (მგ: ხატი, ჯვარი, ქვევრი), ამიტომ ზოგიერთ ოჯახებს დღესაც აქვთ სალოცავები, ზოგს საშობაო, ზოგს სააღდგომო. ამ დროს ოჯახის უფროსი კითხულობს ლოცვებს, ქალები კი ამ რიტუალისთვის წინა დღით ამზადებენ სპეციალურ საჭმელებს სადაც ცომში გახვეული ქათმის გულ-ღვიძლია შემწვარი.

\*\*\*

საქართველოს სხვა ადგილებში ჭიაკოკონობა ჩვეულებრივ აღდგომის წინაკვირაშია ხოლმე, მარტივლის რაიონში კი ჭიაკოკონობა „მარაშონას“ ანუ მარიაშობას იმართება. ამ დროს ყველა ოჯახი თავისი სახლის წინ ანთებს დიდ კოცონს, ოჯახის ყველა წევრი 3-ჯერ უნდა გადაახტეს ცეცხლს ავი სულელებისგან თავის დასაღწევად, შემდეგ კი მთელი სოფლის ახალგაზრდობა ერთად იყრის თავს მარიაშობის აღსანიშნავად.

მაიკო აფხაზავა



## საინფორმაციო ისტორიის გაღვივების გზის შესახებ

გვარი გალობერი (ზუგდიდის რ-ის სოფ. ცაიშის კახათიდან) გადაკეთებულია მგალობლიშვილად, თუ რატომ, ქვემოთ მოგახსენებთ.

პაპაჩემის (დედის მხრიდან) კონსტანტინე მგალობლიშვილის მონათხრობიდან ვიცი, რომ პაპაჩემისი ლევანი გამოქცეულა გურიის სოფ. ლესიდან (ლანჩხუთის რ-ნი) და დასახლებულა სოფ. ცაიშის კახათში.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში, ახალგაზრდა ლევანი ერთხელ ეკლესიაში წასულა, რომელიღაც რელიგიურ დღესასწაულზე დასასწრებლად. სადაც უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ერთ აზნაურს (გვარად ჭყონიას)ცხენის დასაბმელი ადგილი ვერ მოუძებნია და იქვე მოთამაშე შვიდიოდე წლის ბიჭუნასათვის მიუბარებია - მიმიხედო. რამდენიმე ხნის შემდეგ მოიკითხა თავისი ცხენი, მაგრამ იგი ადგილზე არ დახვდა. ბიჭუნას ცხენი გაქცეოდა და მოშორებით ბალახს ძოვდა. ნასვამი, განრისხებული მივარდნილა და უმონყალოდ დაუნყია ბავშვის ცემა. ამ ამბავს შესწრებია ლევანი და გამხეცებულ კაცს სცემია თურმე ხელებში - „რას შვრები, როგორ არ გეცოდება ეს ბავშვიო.“ ახლა ეს კაცი ლევანს მიბრუნებია - „შენ ვინ გეკითხებაო“. ამოულია იარაღი ლევანისათვის და შეუტევიათ ერთმანეთისთვის. ძიძგილაობაში ლევანს ეს კაცი შემოკვდომია. გაოგნებული და თავ-ზარდაცემული ლევანი

სახლში გაქცეულა. მას მისი მოკვლა აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ უბედურება დატრიალდა და მიხვდა დაუსჯელს არ დატოვებდნენ. სახლშიც შეაგულიანეს, თავს უშველე - გაიქეციო. მაგრამ საით? ამ დროისათვის გურიის სამთავრო კარგა ხნის გაუქმებული იყო და ქუთაისის გუბერნიიდან მართავდნენ. ხოლო ოდიშის სამთავრო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ერთგვარ ავტონომიას. ყოველ შემთხვევაში იქ რუსული ადმინისტრაცია არ იყო. ჩოლოქს გაღმა აჭარა ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა. საით უნდა გაქცეულიყო? აჭარაში გათათრება ელოდა. გურიაში ვერ დაიმალებოდა. იქ მოკლულის ნათესავები მიაგნებდნენ ან რუსული პოლიცია დაიჭერდა და გააციმბირებდნენ. მან სწორად გათვალა -გადაწყვიტა გაქცეულიყო ოდიშის სამთავროში და იქ სადმე დამალულიყო თავის მოძმე ქრისტიანებთან. თანაც ახლობლებსაც არ გაუმხილა თუ სად მიდიოდა. ღამე მოახტა ცხენს, გადაცურა რიონი და თავი ამოყო სამეგრელოში. რამდენიმე ათეული კილომეტრი სულ ტყე-ტყე იარა, გაურბოდა დასახლებულ ადგილებს. ბოლოს მიაღგა ერთ მთას, რომლის ძირას იდგა ეკლესია. ეს იყო ურთას მთა და ცაიშის ეკლესია. აქ შეჩერდა. შევიდა ეკლესიაში სადაც დახვდა მღვდელი, გვარად ჟორდანი (პაპაჩემს მიაჩნდა, რომ ის კაცი უფროსი ყოფილა მთელს საცაიშოში). მღვდელმა მოისმინა აღსარება, იგი



ღმერთს სთხოვდა შენდობას, რომ მას კაცის მოკვლა არ ჰქონია განზრახული, შესთხოვა მოძღვარს დაემალა და მთელი ცხოვრება მისი მონა - მორჩილი იქნებოდა. ეკლესიას დაუტოვა შესანიერი (ის მცირე რაიმე, რაც სახლიდან ჰქონდა წამოღებული), მოძღვარმა იგი შვილივით მიიღო, უფრო მეტი - იშვილა ხალხური რიტუალური წესებით. ალბათ მანვე ურჩია გვარის ოდნავ შეცვლა. ამ კაცის ამაგს ლევანი და მისი შთამომავლობაც არ ივიწყებდნენ. ხშირად მინახავს ცაიშიდან - ცაიშის კახათში სტუმრად ჩამოსული გრიგოლ ჟორდანიას. იმ მოძღვრის შვილიშვილი, ასევევე პაპაჩემიც ხშირად ადიოდა ცაიშში ბატონ გრიგოლთან. ისინი ერთმანეთს თვლიდნენ ღვიძლ ნათესავეებად. თუმცა სისხლით ნათესავეები არ ყოფილან (სხვათა შორის იმ გრიგოლის ნათესავია პირველი ქართველი მფრინავი ქალი).

ცაიშის დასავლეთით გადაშლილი კოლხეთის დაბლობი იმ დროს თურმე ტყით იყო დაბურული. აქა-იქ ტყეში კუნძულებით მოჩანდნენ ურთას მთიდან სოფლები. 6-7 კმ დაშორებით ცაიშიდან მოედინება მდ. ჩხოუში, რომლის ნაპირები ტყეში იყო ჩაფლული. მდინარის გაღმა მხარეს რამდენადაც ვიცი, კახათს უწოდებენ, აქ არის ცაიშის კახათი, ძველი კახათი და ახლი კახათი ცაიშის კახათი და მდინარის გამოღმა მინა და ტყე ეკუთვნოდა ცაიშის საეპისკოპოსოს (საცაიშლოს). სწორედ აქეთ, მდ. ჩოუშიასკენ წამოიყვანა მოძღვარმა ურმით ლევანი (თან წაიღეს სამუშაო იარაღები, ჭურჭელი, მარცვლეულის თესვები. მენველი თხაც) გაიყვანა მდინარის გაღმა. შევიდნენ ტყეში და უთხრა, ეს ადგილი და მიმდებარე ტერიტორია მომიცია შენთვის, როგორც აზნაურისათვის (იგი გურიაში აზნაური იყო) აიშენე აქ სახლი და იცხოვრე, ხოლო ზამთრისათვის ეკლესიის საჭიროებისათვის შეშა უნდა მოამზადო, რომელსაც გამოატან ეკლესიიდან გამოგზავნილ კაცს - ეგ იქნება შენი სამსახურიო. აქედან ნუ გამოხვალ, გაივლის დრო და ეს მომხდარი ამბავი დაიწყებას მიეცემაო.

ახლომახლო სოფლის გლეხები ტყეში შედიოდნენ ფიჩხის მოსაგროვებლად. აქ ისინი აწყდებოდნენ შუა ტყეში მდგარ ქობს. რომელიც მანამდე არ ენახათ და მასში მცხოვრებ გრძელწვერა კაცს, რომელიც ხშირად ლოცულობდა ხატის წინ. იფიქრეს, ალბათ ბერი განმარტოვებულა ტყეშიო. შემდეგ, როცა გაეცნენ, გვარიც გაიგეს. მათთვის ცხადი გახდა, რომ ეს კაცი ეკლესიის მსახური გახლდათ და პატივისცემით განეწყვენენ მის მიმართ. როცა სოფელში ჩავდიოდი პაპაჩემთან, მას სოფლის უხუცესები მოიხსენიებდნენ როგორც კოსტა გალობერს, არა და ის ოფიციალური საბუთებით კონსტანტინე



მგალობლიშვილად იყო ჩანერილი, მისი შვილებიც ასევე იწერებოდნენ. მე კი მაშინ გალობერი პაპაჩემის მეტსახელი მეგონა.

ახლა ჩემს მოსაზრებას მოგახსენებთ გვარი გალობერის შესახებ: თავისი აგებულებით იგი მსგავსია ქართულში შემონახული ჭანური წარმომავლობის გვარების: თუთაბერი-თუთბერიძე, კახაბერი-კახაბერიძე, გოგიბერი-გოგიბერიძე, ჭიაბერიდან-ჭიაბერაშვილი და სხვა მრავალი მსგავსი გვარები. სადაც ბერი მომდინარეობს ჭანური ბერი ბერადან, რაც ნიშნავს შვილს. ისინი უძველეს დროში შექმნილი გვარებია, რომლებმაც ქართულში სახელის მნიშვნელობა შეიძინეს. მათგან კი შეიქმნა მეორადი გვარები. ძე ან შვილით დაბოლოებული რაც შეეხება გალობერს, იგი ახალი გვარი ჩანს (მე-19 საუკუნეში შექმნილი). აქ ფუძე გალოს (რომელიც უცხოდა ჟღერს) მიემატა ბერი (გალოსკუა, გალობერი). იგი გაფორმებულია ძველი გვარების მიმსგავსებით. ნამდვილი გვარის შენიღბვის მიზნით. შესაძლოა ეს მოძღვრის ნაკარნახევიც ყოფილიყო.

გავიდა რამდენიმე წელი. ლევანმა ცოლად შეირთო საეკლესიო აზნაურის ქალი მეზობელი სოფლიდან. შეეძინათ შვილები, რუსეთმა გააუქმა ოდიშის სამთვარო და იქაც რუსული ადმინისტრაცია შემოვიდა. ლევანი ჯერ ფრთხილობდა თავისი გვარის გამო, მაგრამ როცა შვილები სამრევლო სკოლაში შეიყვანა, ნამდვილი გვარის დამალვის მიზნით შეიცვალა და მიიღო - მგალობლიშვილი. რატომ? სქემა ალბათ ასეთია: გალობერიშვილი-გალობრიშვილი-მგალობლიშვილი (გალო-გალობა-მგალობელი) თვითონ გვარის აგებულებამ მიიყვანა ამ ახალ გვარამდე, თანაც ხაზი გაუსვა, რომ იგი ეკლესიის მსახურია და მისი მადლიერია.

შვილებიდან უფროსი ბეჟანი (დედაჩემის პაპა) მამის ნაფუძვარზე დასახლდა. სხვები კი (სამწუხაროდ, არ ვიცი მათი ვინაობა) დასახლდნენ ცაიშში. ბეჟანის შვილები არიან: კონსტანტინე (პაპაჩემი). პელაგია და დავითი. (ეს უკანასკნელი ანარქისტებს

მიემხრო, მათი აქტიური წევრი გახდა. მონაწილეობა მიიღო ბანკებისა და მდიდრებ-ის ანიოკებაში, რისთვისაც ოცის წელით კატორლა მიუსაჯეს ციმბირში, სადაც იგი დაიკარგა. თვითონ ბეჟანი გარდაიცვალა 1927 წელს. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, უკვე ავადმყოფმა თავისთან მიიხმო შვილისშვილები -დედაჩემი ნინო (16 წლის) და მისი ძმა დომენტი (14 წლის) და უთხრა: მე მალე მოვკვდები, მინდა გავიგო ჩემი ბიძაშვილების ამბავი. წადით გურიაში, სოფელ ლესაში, მოინახულეთ, მოიკითხეთ და ჩამომიტანეთ მათი ამბავი. ადგილზე ჩასულები კარგა ხანს ეძებდნენ ნათესავებს. აქ მაგლობლიშვილები, ან გალობერები არ არიანო. აი, გალოგრები კი არიანო, ეგებ მათ იციან რამეო, მართლაც, გაირკვა, რომ სწორედ ამ ოჯახიდან ყოფილა ლევანი, იგი დაკარგული მიაჩნდათ და ძალიან გაიხარეს, როცა გაიგეს, რომ გადარჩენილა და დაოჯახებულა კიდევ, დიდი სიხარულით მიიღეს ახალგაცნობილი ნათესავები. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. გასული საუკუნის 30-იან წლებში ბიძაჩემმა ცოლი შეირთო და ახალ-დაქორწინებული მეუღლესთან ერთად ისევ ესტუმრა ლესაში ნათესავებს. ამჯერადაც ძალიან გაიხარეს ერთმანეთის ნახვით.

მერე იყო დიდი სამამულო ომი, დიდი გაჭირვება. ძველი კავშირები მოიშალა, მე არ ვიცი რა უთხრა ბეჟანმა ლესადან დაბრუნებულ შვილიშვილებს. როგორ ახსნა გვარების სხვადასხვაობა. ძველებიდან ახლა ცოცხალი არავინ დარჩა, მაგრამ ჩემთვის ნათელია, ის ფუძე-გვარი, რომელსაც ასე საგულდაგულოდ მალავდა სამეგრელოში გადახვენილი ლევან გალობერი, როგორ არის იგი დაკავშირებული გალოგრების საგვარეულოსთან, ე.ი. გალობერი-გალოგრეს მეგრული შტოა.

რაც შეეხება გალოგრეს, გვარის წინამორბედის შესახებ მაქვს მწირი ცნობები, ამოკითხული გაზეთიდან. ის ყოფილა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი, გვარად გალოგრეი, გადმოსახლებული საფრანგეთიდან რუსეთში. მსახურობდა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში. შავი ზღვის ფლოტში ყოფილა ქ.ფოთის პირველი კომენდანტი. თადარიგში გასვლის შემდეგ დარჩენილა გურიაში, ცოლად შეურთავს გურული ქალი. ჩემი ვარაუდით, ლევანი გალოგრეის ერთ-ერთი შვილია.

დღეისათვის ლევანის შთამომავლობიდან უმცროსი შტოს წარმომადგენლები ცხოვრობდნენ სოფ. ცაიშში მაგლობლიშვილის გვარით. ერთ მათგანს, რომელსაც ბოჩიას ვეძახდით - პირადად ვიცნობდი. მისი მამა პაპაჩემის ბიძაშვილი ყოფილა.

რაც შეეხება ბეჟანის(ბეჟუს) შთამომავლებს. ისინი უკვე აღარ სახლობენ კახათის ცაიშში, ლე-

ვანის საფუძვარი მოშლილი და დაკარგულია. ერთ დროს ნალკოტად ქცეული სახლ-კარისაგან დღეს არაფერია დარჩენი. ცარიელ-ტარიელი მინდორია სამწუხაროდ. ისე მოხდა რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში ბეჟანის შვილიშვილი - დომენტი ოჯახით გადასახლდა აფხაზეთში. მაგრამ იქ მომხდარი ამბების შემდეგ აფსუა სეპარატისტმა. მათი რუდუნებით აყვავებული სახლ-კარი გადაუწყვეს და სხვა ქართველებით აფხაზეთიდან გამოაძევეს. ახლა ლტოლვილები მიმოფანტულები არიან სხვადასხვა ადგილას.

ასეთია ლევან გალობერის ისტორია. შეიძლება საქართველოში კიდევ იყოს სხვა პიროვნება, რომელიც გალობერის გვარს ატარებდეს (რამიც ეჭვი მეპარება). მაგრამ გალოგრესთან კავშირი, მხოლოდ ზემოდხსენებულ ლევანს ეხება, ეს ნამდვილია.

ბოლოს მინდა მოგახსენოთ, რომ მე არც ენათმეცნიერი ვარ და არც ისტორიკოსი, არავითარი პრეტენზია არა მაქვს კომპეტენტურობაზე. შეიძლება ჩემი ვარაუდები და კომენტარები სპეციალისტებმა არასწორად მიიჩნიონ. რაც შეეხება გადმოცემას, იგი ჩემი შეთხზული არაა, ამ თემაზე საუბარი ხშირად პირადად მომისმენია პაპაჩემის ოჯახში და ამის თაობაზე მე ჩემი აზრი ასეთნაირად ჩამომიყალიბდა.

საინტერესო იქნებოდა გალოგრების საგვარეულოს წარმომადგენელთა მოსაზრება ზემოგამოთქმულთან დაკავშირებით. აგრეთვე ცაიშელი მაგლობლიშვილების აზრი მათი გვარის წარმომავლობის შესახებ.

ამ გვარში ქართულ (გურულ) გარემოში მიიღო გალოგრეს ფორმა. ასეთი გვარები ხშირად გვხვდება ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ გვარებში (მაგ. ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი მენდელსონ-ბარტოლდი, ანდა დემიარტინ-ნოქნიდა სხვა), გალობერში ფუძედ აღებულია პირველი გვარი უფრო მისაღები ქართველის ყურისათვის, მეორე გრეი უკუგდებულია და მისი ადგილი დაიკავა ჭანური წარმოშობის გვარებში მიღებულმა დაბლოებამ გალობერიმ (გალოს შვილი), ამით იგი დაუახლოვდა ქართულ ფორმას. რამდენად განათლებული იყო ლევანი, ამის შესახებ არაფერი ვიცი. უბედური შემთხვევა რომ დატრიალდა, ის ძალიან ახალგაზრდა ყოფილა. ჩემი აზრით გვარის ასეთი ფორმა უკარნახა განათლებულმა პირმა. ასეთი კი, ვფიქრობ, მისი მოძღვარი და მამობილი, სასულიერო პირი - ჟორდანი იყო, რომელიც უთუოდ გათვითცნონიერებულად ითვლება ამ საკითხში.

ლარი ქვარცხავა



# უძველესი მეტალურგიული წარმოების ისტორიისათვის სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში

ადამიანთა საზოგადოება თავისი სიყმაწვილის პირველ პერიოდში, იმ დროს, როდესაც იგი თავს აღწევს ველურობას, წელში იმართება, ვერტიკალურ მდგომარეობას ღებულობს და მარჯვენა ხელს თავისი არსებობის ძირითად ორგანოდ ცნობს, როცა ამ ხელით იმარჯვებს ტლანქი ქვის ნატეხს და მით ცდილობს მოიპოვოს საზრდო და დაიცვას თავი - აკეთებს პირველ გრანდიოზულ ნაბიჯს წინ, ადამიანთა საზოგადოების შემდგომი უფრო სრულყოფილი ფორმირებისაკენ. ეს ნაბიჯი ტექნიკაში ის ბიძგია ადამიანთა საზოგადოებისათვის, რომელმაც აღმავალი ხაზით აამოძრავა ველური, გაუჩინა საზრუნავი, საფიქრალი, საშრომი და საბრძოლი; ხელი შეუწყო ადამიანის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას. ამ ბიძგით ამოძრავებული საზოგადოება არასოდეს შეჩერებულა, უკან არასოდეს დაუხევია, ტექნიკა ერთ დონეზე არასოდეს გაყინულა, პირიქით, მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში ადამიანი წინ მიდიოდა, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა ტექნიკაში, ეკონომიკაში, წინაურდებოდა კულტურულადაც; იხვეწებოდა მისი მორალური მხარე, ყალიბდებოდა მტკიცედ შეკრული მორალური საფუძვლები. საწარმოო იარაღების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ ადამიანები. ვითარდებოდა მათი საწარმოო გამოცდილება, შრომის ჩვევები, წარმოების იარაღის გამოყენების უნარი.

ტექნიკაში ადამიანთა საზოგადოების პირველ ნაბიჯებზე მდიდარ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური ძიების გზით ნაპოვნი რელიკვიები - პრეისტორიული ხანის ტექნიკა. ქვის იარაღი პირველყოფილ ადამიანის ტექნიკა იყო, მაგრამ იქამდე მისვლა, შემდგომ მისი განვითარება, სრულყოფა ხანგრძლივ დროს, გამოცდილებას და შრომას მოითხოვდა მისგან. პალეოლითმა (ძველი ქვის ხანა) აამოძრავა ადამიანთა საზოგადოება შემდგომი ეკონომიკური პროგრესისაკენ. ამ დროის ადამიანი წელ-წელა, მაგრამ დაბეჯითებით იკვლევდა გზას, აუმჯობესებდა ქვის იარაღს. მრავალი ასეუ-

ლი წელი დასჭირდა ამ საფეხურიდან უფრო მაღალი საფეხურისაკენ - ნეოლითისაკენ (ახალი ქვის ხანა) გზის გაკაფვას. ორივე საფეხურზე ადამიანი მხოლოდ ქვისგან ამზადებს იარაღს, მაგრამ აუმჯობესებს მას, სრულყოფს და კეთილ სახმარს ხდის. ამასთან, იფართოებს გონებრივ ჰორიზონტს, მრავალფეროვანს ხდის თავის საქმიანობასა და ცხოვრებას. ამ წინსვლაზე, ადამიანის პირველ ნაბიჯებზე ტექნიკაში ერთგვარ შთაბეჭდილებას გვიქმნის სოფ. ნახუნაოში, ადგილ „ნაცაცხვერაში“ ნაპოვნი ქვისა და კაჟის იარაღები და ამ ეპოქის სხვა რელიკვიები. აღნიშნული ადგილი ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის ნამოსახლარი უნდა იყოს. ეს ის ეპოქაა, როდესაც ადამიანი ტოვებს ბნელსა და ნესტიან გამოქვაბულებს და გაშლილ ადგილზე



იკეთებს პირველყოფილ საცხოვრებელ ქოხს, ამზადებს კაჟის მჭრელ პირებს, იყენებს ცეცხლს და ეწევა კერამიკულ წარმოებას. მსგავსი მასალები ნაპოვნი მარტვილის ფერდობებზედაც.

კაჟის იარაღი ნაკლებად გამძლე და ძნელად გამოსაყენებელია, ადამიანი მიაგნებს ლითონს - სპილენძს, ცივად ჭედვით აძლევს სასურველ ფორმას და იყენებს მას. ცივად ნაჭედი სპილენძი, მართალია, ფორმას ადვილად ღებულობს, იგი ადვილად ჰყვება ხელოსნის ხელს, მაგრამ ადვილად ჩლუნგებადიცაა, ამიტომ ადამიანი მას გაადნობს და გამდნარი ლითონის ყალიბებში ჩამოსხმას იწყებს. სპილენძის წარმოების საინტერესო მასალა აღმოჩენილია დგომში, ადგილ „ჩეჩონაში“. **სამეგრელოში სპილენძის წარმოების უსსოვარი ღრძიდან მომდინარეობაზე მიუთითებს შემორჩენილი ტარმინაზი - „ლიწი“, „ინჯრობა“ და „საინჯრო“, რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ.**

სპილენძის წარმოებას ცვლის ბრინჯაოს კულტურა. სპილენძი, ასე მაგარ ქვასთან შედარებით, ადამიანთა ტექნიკის მზარდ მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებს, იგი მაინც ნაკლებად მყარია,



ნაკლებად მტკიცეა. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მარტო სპილენძი ძალზე რბილია, საჭიროა მისი გამტკიცება მინარევით. ამ მინარევით გამოდნობილი ლითონი უფრო მტკიცე აღმოჩნდა. სწორედ ეს გაითვალისწინა ადამიანმა, როცა ასეთი ნაღობის - ბრინჯაოს - მასიურ გამოყენებას მოჰკიდა ხელი. იგი სწრაფად გაბატონდა ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში. ბრინჯაოს კულტურის რელიკვიებს უხვად პოულობენ საქართველოს ყველა კუთხეში. ამ მხრივ, საინტერესოა სოფელ კურზუში აღმოჩენილი მასალები. აქ ორი საფლავი გაითხარა - ერთი შედარებით მდიდარი და მეორე - გაცილებით ღარიბი. მათში აღმოჩნდა საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საკულტო ნიშნები. მსგავსი მასალები იქნა ნაპოვნი სოფელ სალხინოში, ადგილ „ქუთუს ნაკარუში“, გურძემში, სოფელ ნაღვესაოში, ნახუნაოში, დოშაყეში, კინიაში. კურზუში ხშირად გვხვდება ბრინჯაოს ზოდების დიდი განძი და ერთეული ეგზემპლარებიც, ასევე ხშირად გვხვდება მეტალურგიული წარმოების კერებთან ბრინჯაოს წვრილმანი ნამცეცხები და ნიღებიც კი.

ბრინჯაო შეცვალა რკინამ. რკინამ ხელოსანს ისეთი მტკიცე და მჭრელი იარაღი მისცა, რომელსაც ვერ უძლებდა ვერც ერთი ქვა, ვერც ერთი იმ დროს ცნობილი ლითონი. ყოველივე ეს ერთბაშად როდი მომხდარა. პირველი რკინა ხშირად ბრინჯაოზე უფრო რბილი იყო, ამიტომ ქვის იარაღი მხოლოდ ნელ-ნელა ქრებოდა. რკინის გამოდნობა, ჩვენი აზრით, დაფუძნებული უნდა ყოფილიყო უძველეს მეტალურგიულ გამოცდილებზე. ბრინჯაოს დნობა მეტალურგიულ ქურას მოითხოვდა. სპილენძის და ბრინჯაოს სადნობი ქურები თავისებური იყო - ორმო ქვაბები. პირდაპირ მინაში ჩაჭრილ თხრილში ჩადგამდნენ წინდანინ გამომწვარ ქოთნებს, ქვაბებს ან კიდევ ამოლესავდნენ თიხის სპეციალურად გამოზდებული სქელი ფენით და გამოწვავდნენ. ხდებოდა ისეც, რომ ჯერ თხრილს ქვებით ამოყორავდნენ და შემდეგ ამოლესავდნენ თიხის განსაკუთრებული მასით, რომელსაც ამოწვავდნენ ხოლმე. უტოვებდნენ ხელოვნურ საქმენებს, სადაც უყრიდნენ მილაკებს

და მისი საშუალებით უბერავდნენ. ჯერ პირდაპირ ფილტვის მეშვეობით, შემდეგ საბერველით. ასეთი ორმოქურების კვალი მრავლად არის მიკვლეული დოშაყეში, კურზუში, ნახუნაოში, ნაღვესაოში, სალხინოში. აქ უხვადაა ასეთი წარმოების მდიდარი რელიკვიები: ქურის კედლის ნამსხვრევები, მილაკები, ნიღები, ნაღობის ნამსხვრევები და სხვა. უაღრესად საინტერესოა სოფელი ნახუნაო, სადაც ერთმანეთის მიყოლებით ათ ადგილას არის მიკვლეული მეტალურგიული წარმოების უძველესი ნაშთები. ყურადღებას იპყრობს კაჟი ცანავას ეზოში აღმოჩენილი მეტალურგიული კერა.

ამავე სოფელში, ადგილ „ნაცაცხვერაზე“ პრეისტორიული ხანის ნამოსახლარს ზემოთ, უხვადაა მიმოხეული მეტალურგიული წარმოების ნაშთები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მეტალურგიულ წარმოებას აქ გაცილებით ადრეული ფესვები უნდა ჰქონდეს.



**სამეგრელოში მეტალურგიული წარმოების უხსოვარი დროიდან არსებობაზე მიუთითებს რაიონის ტარიტორიაზე მრავლად შემორჩენილი ადგილთა სახელწოდებანიც: „ნაჭკადური“, „ჭკადუროზუ“, „ნოჭადინი“, „ჭკადუარი“, „ჭკადუარ-ფარდი“, რომელთა მაცნეარული გაშიფრვა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია.**

**დასკვნები:** 1. სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებნი უძველესი დროიდან მისდევდნენ მეტალურგიულ წარმოებას, ლითონის დნობასა და გამოყენებას იარაღის დასამზადებლად. ლითონის სადნობი ორმო-ქვაბები და თიხის ქოთანქვაბები ერთ ადგილას რამდენიმე იყო ერთმანეთის გვერდით მოწყობილი. ერთბაშად ყველა ქოთანში ახდენდნენ ლითონის დნობას, რითაც აგროვებდნენ საკმაო რაოდენობის ლითონს. აქვე ხდებოდა კრიცების ჭედვით საბოლოო წრთობა და დამუშავება. აქ მზადდებოდა იმ დროისათვის უმაღლესი ხარისხის ლითონი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტალურგიული წარმოე-



ბა დამოკიდებული იყო საკუთარ ნედლეულზე, რომელიც მოიპოვებოდა ტყეხურის ხეობის ორივე მხარეს და ნახუნაოს მთებში.

2. მეტალურგიულ წარმოებას, ლითონის დნობას ენეოდნენ მსხვილი გვაროვნული ოჯახები. სოფ. ნახუნაოში ნაპოვნი წარმოების კერების ასეთი სიუხვე იმაზე მიუთითებს, რომ ერთ სოფელში რამდენიმე ოჯახი, ან რამდენიმე ხელოსანი ერთდროულად ენეოდა მას. რასაკვირველია, ასეთი წარმოების გაძღოლა მაშინდელ პირობებში ერთ ოჯახს ან ერთ

კაცს არ შეეძლო. იგი, ალბათ, მთელი გვარის გვაროვნულ საქმიანობასა და საკუთრებას წარმოადგენდა.

სამეზრალოს ეს მხარე, სადაც მეტალურგიული წარმოების ასეთი სიუხვესთან გვაქვს საქმი, ცხადია, მართო თავისთვის არ ამზადებდა ლითონს. იგი საქართველოს სხვა მხარეებისათვის ლითონის მიმწოდებელიც უნდა ყოფილიყო.

გივი ელიაშვილი

## მარადიული მოძრაობის სიმბოლოები



### სასლი თელიანიდან (შიდა ქართლი)

ჩვენს სმაურთან, გადატვირთულ, ქანცაცლილ თბილისს, გაერიდები და ადიხარ ფეხით კუს ტბაზე, გზას ვერ აუვლი გვერდით გაშლილ ეთნოგრაფიას, ჩვენი სამშობლოს მინი მოდელს მწვანე რუკაზე.

აფეთქებულან ალუბლები, ნუში, ტყეშალი თითქოს მაცდურად გაუშლიათ უვავილთა ბადე. ფეხს შეაბიჯებ, აღმოჩნდები სხვა სამუაროში, ქართველის სულში და წარსულში შეადებ კარებს.

ფერდობის თავზე გადმოგდგარა კოშკი სვანური, ლახეთ-აჭარა, იმერეთი, ჰერეთ-კახეთი, აფხაზეთი და შიდა ქართლი, სულ მთიანეთი, სამცხე, ლეჩხუმი, ქვემო ქართლი და ჯავახეთი

ჯერ ქართლს ეწვევი, საქართველოს ქართლი გულია თუძცა თვალს გტაცებს სამეგრელო, რაჭა, გურია. შიდა ქართლში დგას სასლი სოფელ თელიანიდან, მტკვრის კალანოტის მარჯვნივ გაშლილ ეზო კარდან.

აქ მე-19 საუკუნის სულ დასაწყისის ერდო-გვირგვინი აგამაღლებს ცაში სრულიად... შემოსასვლელში მასიური რკინის კარები. ერთობის სახლის წმინდა კერა სარტყალაო. დარბაზოვანთა სკამი-ტახტი წრეში მსუებით ბავშვის აკვანი არტანებით სანატვრისთვალაო.



სასლის კედლებში, განჯინებში-თიხის ჭურჭელი, ხის დგამ ავეჯი ტახტრეჟანი-უკიდუგანაო. საქალებოში გაფანტული დედის ნამღერი გლეხის მარჯვნივ ჩამოსხმული დოქიდან ღვინაო.

ბოლნური ჯვრები ქართველების სულის მფარველი, და წლების მერე შერჩენილი ოჯახის სითბო, რაღაცნაირად დამეუფლა იმის შეგრძნება, თითქოს ამ სასლის მეოჯახე მეფითონ ვიყო.

ღია წინ კარში მოწუენილი ძველი გუთანა, მონატრებია გლეხის ოფლი და მიწის სითბო. გვიან ზაფხულში აღებული ხორბლის სურნელი, სმლების ტრიალი, თოფის სუნი, მწარეც და სიტკბოც.

...გაზაფხულის მზემ ჩამოგვხედა ერდო-გვირგვინში კერის თბილად ჩაეკონა,ცეცხლი დაანთა. დედობებზეც ამომრავდნენ ბორჯღალოები, ახალს შეერწუა სიმბოლურად ძველი სამუარო.

და დღევანდელი ჩვენი ყოფაც განდება ძველი, და მოძავალშიც ვინმე იგრძნობს ამ დროის სითბოს, და მე აღვიქვი საკრალული ბორჯღალოები მარადიული მოძრაობის უკვდავ სიმბოლოდ.

19/08/2016 ბაკურბანი

# გივი სიხარულიძე

ჯამიანისა და სამყაროს  
სიყვარულში



ვიდრე გივი სიხარულიძის ლექსებსა და ნოველებზე ვისაუბრებდეთ, ხამს ახლოს გაცნობა მისი პიროვნებისა ბიოგრაფიული ესკიზების მოშველიებით. ამჟამად სიბრძნის ასაკშია, სამი შვილით და ხუთი შვილიშვილით დახუნძლული და ამალღებული, „თბილისური ჯიგრიტ გაბრწყინებული“, „თბილისზე სიყვარულით გაგიჟებული“. დადის ამქვეყნად „სკიდან ფიჭად ამოღებული სიტკბო“, „მტკვარს დაირად დაკიდებული მთვარე“, „თბილისის ქუჩებში გაზრდილი და გალაღებული“, „თბილისის ქალაქს დაბადებული დარდიმანი“, თბილისზე „ფიქრით გზააბნეული აშული“, „ამ ქალაქის ფიგარო“.



მხატვრული თხზულებების წერა 45 წლის ასაკში დაიწყო. ეს ისე არ გაიგოთ, თითქოს მანამდე თბილისის უბნებში ძველებიჭობდა, სუფრიდან სუფრამდის თამადაობით იქცევდა თავს. თუმცა არც ამის უთქმელობა ეგების, რომ სიყმანვილიდანვე „ძირითადად ქუჩას გახლდათ ნაზიარები და თანატოლებში საქმის გარჩევითაც ლიდერობდა, სწავლა და წიგნის კითხვა თითქოსდა სათაკილო საქმედ მიაჩნდა“ (ნ. ცინცაძე). ბავშვობიდან გატაცებული იყო სპორტით, ცეკვით. ლეგენდარული ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტობას 16 წლის ასაკიდან ეზიარა. დამთავრებული აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების უნივერსიტეტი. როგორც გივი სიხარულიძეზე წერენ: არ არსებობს მსოფლიოს რომელიმე ცეკვა, რომელსაც ერთნაირი მოხდენილობით არ ცეკვავდეს. მთელი 20 წლის მანძილზე იყო სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „თბილისის“ მთავარი ბალეტმეისტერი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

გივი სიხარულიძე, ამასთანავე, საოცრად სპორტული პიროვნება გახლავთ. თავი გამოიჩინა ჩოგბურთში, ტანვარჯიშში. როგორც ნანა ცინცაძე წერს: „იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წყლის თხილამურებზე დადგა, მისთვის არც მთის თხილამურები იყო უცხო“. ის არა მარტო უჩვეულო მოცეკვავე და სპორტსმენი იყო,

არამედ შესანიშნავი მსახიობიც. ქორეოგრაფი, რეჟისორი, რადიონამყვანი. არც კინემატოგრაფიას დავინწყნია მისი ნიჭი. გივი სიხარულიძემ 1993 წელს ფილმში „უძინართა მზე“ ვანიჩკას მთავარ როლში ითამაშა. ამ ფილმმა ბერლინის ფესტივალზე გრანპრი, ვერ-


ცხლის დათვი მოიპოვა, ასევე „ტავრია გრან-პრი“ სოჭის ფესტივალზე, საქართველოში ოქროს არწივი ერგო წილად, რსფსრ-ში კი „ნიკა“, ესპანეთში, ლას-პალმას მალიორკაში — გრან-პრი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სანდერსის ფესტივალზე გრან-პრის მფლობელი გახდა. ბათუმის მესამე საერთაშორისო ფესტივალზე მის მიერ გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „ქუჩის დედოფალი“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ხოლო საერთაშორისო ფესტივალზე

ფილმ „გათოშილ ბელურებში“ მთავარი როლის შემსრულებელმა ირინკა წერეთელმა პირველი პრიზი აიღო ბავშვის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

ვახტანგ ღლონტი წერს: „იშვიათად შემხვედრია კაცი, ასე რომ ამართლებდეს საკუთარ გვარ-სახელს... გივი სიხარულიძე ჭეშმარიტად სიხარულის დესპანია ჩვენს გაუბედურებულ საზოგადოებაში“. სწორედ ამიტომ უძღვნიან მას მშვენიერ ლიტერატურულ წერილებს, პოეტები კი — ლექსებს. კარგია, რომ მისი ნოველებისადმი მიძღვნილი წერილები (ვახტანგ ღლონტი, თემურ შალვაძე, ნანა ცინცაძე) ასევე — ლექსები (ვახტანგ ღლონტი, ვანო ცინცაძე, გუგული მგელაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნანა ცინცაძე, გიზო ჭელიძე, რაულ ჩილაჩავა, ლადო მრელაშვილი, თამარ ასლანიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ქართლოს კასრაძე, მიმოზა ცანავა, ირმა ქურასბედიანი) თან დაერთო გივი სიხარულიძის 584-გვერდიან რჩეულს — „ის+მე“, „ანწყვეტილი სიცოცხლე“, რომელიც 2010 წელს გამოიცა. ვახტანგ ღლონტი ქალაქურად მომლხენ ბოჰემას უწოდებს გივი სიხარულიძეს, რომელსაც „გულში ანგელოზი უზის“ და უბრალო ხალხი ურჩევნია „სახელიან ხარახურას“, „შესანიშნავი ლექსები უძღვნა ვანო ცინცაძემ თბილისის ამ განუმეორებელ კოლორიტს, „კაცი, რომელიც



არავის არ ჰგავს, ზოგჯერ არა ჰგავს საკუთარ თავსაც“, „კაცი, რომელიც თვითონვე არის ცეკვაც, სიმღერაც, ლექსიც, ნოველაც“, „კაცი, რომელიც სხვებს ახალისებს, და თვითონ რჩება დარდის ამარა“, „მისი სიცოცხლე არის ბოჰემა, ცხოვრება ნაღდი ყარაჩოლელის“, გუგული მგელაძე გივი სიხარულიძეს მიიჩნევს „მზისა და მთვარის ნაფვარ კაცად“, ასევე — „მზის და მთვარის ნატყხად“, ნანა ცინცაძის მიხედვით, იგი „ფიქრებით დედამიწას გამოსცდა“, ვაჟა ოთარაშვილს სწამს, რომ გივი სიხარულიძე „უკანასკნელი მოპიკანია ძველი თბილისის“, „სხვა ჯიგარია, ძველი ძმობის ბოლო სარდალი“. აი, გიზო ჭელიძის ერთსტროფიანი ექსპრომტი: „ვისმენ შენს ნოველებს, ნოველებს არა, აქციებს, გიჟს გეძახიან, ღმერთო, მეც გიჟად მაქციე“. რაულ ჩილაჩავას ნატყხაა: „კაცი მისებრი ნურასდროს ნუ დაკლებია თბილისს“, მერაბ ბერიძის ლექსს ჰქვია „დადის ქალაქში რაინდი კაცი“, ამ სათაურით უკვე ყველაფერია ნათქვამი, ხოლო მერაბ მეტრეველი „კალმის და სცენის რაინდს“ უწოდებს. გიორგი დვალიშვილი თავის ლექსს ასე ასრულებს: „ის მთელი ღამე ფურცლად თავის ნოველებს ათოვს“.



ტიტე მოსია

ზემოთ ითქვა: გივი სიხარულიძემ კალამს მოკიდა ხელი მხოლოდ 45 წლის ასაკიდან. მან ჯერ განვლო თავისი ცხოვრების ნახევარი გზა და... მწერლობაში შემოათენდა. ნოველების ნიგნს ნიგნი მოსდევს: „ციურუნია“ (1997), „სევდიანი სკამი“ (1998), „ჩემი ოცნების ხე“ (1999), „დაობლებული სინაგოგა“ (2000), „შეურაცხყოფილი ნაძვის ხე“ (2002), „სიცოცხლის მოწმობა“ (2003), „რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა“. 2010 წელს ქვეყნდება მწერლის ლექსებისა და ნოველების რჩეული (584 გვერდი). მასში შესულია 70 ლექსი და 170 ნოველი. 2012 წელს გამოვიდა ნოველებისა და ლექსების კიდევ ერთი კრებული „არაბულა“ და „თრობის სურნელი“ გივი სიხარულიძის დაუფასდა ქართული ნოველისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილი და ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

მიმზიდველია გივი სიხარულიძის ლექსები. მისი ყოველი სტრიქონი დატვირთულია აზრით, გრძნობით, ტკივილით, დღევანდელი გაუსაძლისი ყოფის მწარე განცდით:

„მოღის და მოღის ახალი ფრანა,  
 ლექსების გუნდი ცით დაირანაშმა,  
 ეოველი სტროფი იღვრება ნაზად,  
 გრძნობების ტალღად და აიაზმად“.

გივი სიხარულიძის პოეზიას კვებავს სულის ძლიერების მოტივი, მხოლოდ ამით გადაირჩენს თავს ქართველი კაცი ამ უბედურ დროში. ეს მაშინ, როცა „მისხალ არ დაგვრჩა კაცობის, ქვეწარმავლებად ვიქციით“.

ვირთხებივით დავსრიალებთ მიწის ქვეშ, „გადავიქეციტ მონებად და სავსე ფულის ქისადა“, „შემირცხვენია აქ ყოფნა თუ სულით არა ხარ ძლიერი“. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „ვამირანობდით, ვავთანდილობდით გმირები, დღევანდელ ყოფას დაგვცინის ღორი, ჯორი და ვირები“. რა აზრი აქვს ამქვეყნიურ ცხოვრებას თუ ქართველი ქართველს არ ჰგავს, სცოდავს ერიც და ბერიც, რაინდის თვისებანი ლეგენდებში დაიმარხა, თუ წაგვიხდა ქართული გენი:

„თუ ეველა ცოდავს კრიც და ბურცი,  
 ქართული ერი სხვის ჩანჯუე მღერის,  
 მაშინ რაღაა წუთისოფელი,  
 თუკი წაგვიხდა ქართული გენი,  
 თუ გადაიქცნენ ციციანობად  
 ავთანდილ, ფრიდონ, ტარიელ, ლერი“...  
 გადავარება იქამდე დავიდა, რომ  
 „ქალი არ ვარგა არც ერთი ქალად  
 და ვაჟი აღარ ვარგა ვაჟად.  
 ეგრანსუ იმდენი კოცნა და სუქსია,  
 ვეღარ გვიშეულის მოწალსუ ლექცია.  
 ქალი ვაჟკაცობს და ვაჟი კი ცელქია,  
 უკვე ამერია ვინ რა სუქსია“.

გივი სიხარულიძე მინდიასავით განიცდის ხის მოჭრას, ტყეების გაჩეხვას და მის გასხვისებას თურქეთში: „უღვთოდ მოჭრილი ხე. გაყიდეთ საქართველო თურქეთში, ჰე, აბა, ჰე!“ ასეთ კომმარულ ვითარებაში პოეტს უჩნდება კითხვა: „რად მოვედი, ანდა ვისთვის, და საერთოდ რისთვის, რისთვის“.

ამასთანავე, გივი სიხარულიძემ კარგად იცის, რომ ამ წუთისოფელში მოვიდა სიყვარულისთვის, ადამიანისა და სამყაროს სიყვარულისთვის. სწადია, ამ სიყვარულში დაიფერფლოს კიდევ. მას არ უნდა ქართველის უბედურებით ბედნიერი იყოს მტერი:

„მზის სხივი \_ სანთელი,  
 ეველაფერი ნათელი,  
 ბედნიერი მტერი და  
 უბედური ქართველი“.

მის პოეზიაში, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი სტროფით გამოიხედავს აფხაზეთის ტრაგედია:

„აფხაზეთის ომი მცდარია თუ სწორი,  
 იქ მრავალი დაიღუპა ბოკეერი და ლომი,  
 არ გამსდარა დუნიასუ კაცი მათი ტოლი,  
 აკი ცოღვით სულ დაღუშდა საკრავი და დოლი“.

ზემოთ, ჩართული სიტყვა სამწუხაროდ, იმიტომ დამცდა, რომ, ჩვენდა სავალალოდ, ქართულმა მწერლობამ მიივიწყა აფხაზეთის ტრაგედია, მისი წარსული, ანმყოც და მომავალი. არა მარტო მწერლობამ,

საერთოდ, ქართულმა ხელოვნებამ.

გივი სიხარულიძის ლექსებში თავჩენილია ყოფითი თემები, თბილისის სილახათე, წარმავლობის, სიკვდილ-სიცოცხლის მწარე განცდა, ქალთა მშვენიერების განცდა და სიყვარული, სამოქალაქო მოტივები, მის ლექსებში, ისევე როგორც ნოველებში, მკითხველი იხიბლება სათქმელის გულწრფელობით, უშუალოებით, ყოველგვარი მხატვრული კეკლუცობის გარეშე, ანუ იგი არ ტვირთავს სტრიქონებს მოჭარბებული მხატვრული სამკაულებით, წარმოსახვითი ზიზილ-პიპილებით, მისთვის მთავარია სათქმელის არსის, იდეის, აზრის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა, რაც უფრო შთამბეჭდავს და შთამაგონებელს ხდის მის ლიტერატურულ პროდუქციას. ბევრი ლექსი აქვს გივი სიხარულიძეს მისთვის გამორჩეული და საყვარელი ადამიანებისადმი (ზვიად ცეცხლაძე, ზაალ კახიანი, გელოდი კობალაძე, ანა კალანდაძე, ნინო რამიშვილი, გელა მუხაშავერია, ლადო კვარაცხელია, თემურ შავლაძე, ნიკო ჯადუგოშვილი, ალექო ოლიშვილი, ანა ხვინთელიანი, ჯუტა წერეთელი, ეთერ კაკულია, ჟიული შარტავა, გურამ საღარაძე, ნანა ხუნდაძე, მარიამ ქვათაძე, ირაკლი ნასიძე, ნუნუ გაბუნია, ნუნუ დულაშვილი, რეზო შულღიაშვილი, ანტონ ინგოროყვა, დათა ჩახვაშვილი, რეზო სალუქვაძე, ბუბა კიკაბიძე, ლეილა აბაშიძე, ოთარ ბრეგვაძე, ჯუმბერ ბერაძე) მიძღვნილი ლექსები, რომელთა რაოდენობა 27-ს აღწევს. რამდენი სიტბო, სიტკბო, ალერსი, სიყვარული იღვრება ამ ლექსებში. მწერლის ერთ-ერთი ნოველიდან „ყომარბაზი მიქელ-გაბრიელთან, ერთხელ ვერაზე“ — ამოღებული სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „კაცობის, ქალაქელობის, თბილისური ჯიგრის მატარებელი, სიკეთისათვის დაბადებული კაცის“ პატივის მიგება ზემოთ დასახელებული ქართველებისადმი. მისვე სიტყვით რომ ვთქვათ: „სიყვარული ხომ გიჟმაჟია, შეშლილთა ხვედრია“. ერთ-ერთ ნოველაში „სრულქმნილო მარადიულობა“ შემოქმედი არც ამას მალავს: „სიძულვილის ქვეყანაში სიყვარულზე წერას ვინ მაპატიებს ან ვინ შემარჩენს?!“ საუბარია სამყაროსა და ადამიანებისადმი სიყვარულზე.

გივი სიხარულიძეს ვაჟკაცურად შეუძლია გაიმეოროს XI საუკუნეში ავიცენას ნათქვამი:

„ვირებში თუ ხარ, შენც უნდა ტლინკები ჰქარო,  
ვირებს ჰგონიათ, ჩვენიათ მთელი სამყარო,  
ვირებში თუმცა მუდამ ვირად მოქონდა თავი,  
მაინც გამიგეს, ანაბული ტაიჭი ხარო“.

ზემოთ ნახსენებ ნოველაში მტკვინეულ კითხვას სვამს მწერალი: „რანი ვართ ეს ქართველები, როგორ გვეჯავრება ჩვენზე ნიჭიერი, გონიერი და კეთილმოსავი კაცი, როგორ შეგვიძლია ხობტა შევასხათ და ცაში ავიყვანოთ უნიჭობა, მით უფრო მაშინ, თუ მისგან რამეს გამოველით. რისი სინდისის ქენჯნა, ანდა რა სინდისზეა ლაპარაკი. ვცხოვრობთ მგლებივით — თუ ვინმე დასაგლეჯია — დავგლეჯთ, მოსაკლავია? — მოვკლავთ, შესაჭმელია — შევახრამუნებთ“.

გივი სიხარულიძის ლექსებსა და ნოველებში თვალნათლივ გამოსჭვივის მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, სიყვარულის, როგორც სამყაროს გადამრჩენის, უძლეველობა. აკი ზემოთ ვახსენეთ, „რჩეულში“ 170-მდე ნოველაა შესული. ამთავითვე ვიტყვით: ამ ნოველებს კვებავს ქალაქური და სოფლური ყოფა. ამასთანავე, ვერ შეხვდებით მხატვრულ ლიტერატურაში თემას, რომელიც მათში მეტნაკლები დოზით არ იყოს განსხეულებული. თუმცა უმთავრესად მაინც, ვახტანგ ლლონტის სიტყვით რომ ვთქვათ, „მან იცის ქალაქი და ქალაქმაც იცის იგი. იგია ამ ქალაქის ყოფის მთავარი პერსონაჟიც და მემპტიანეც“. თითქოს ფრანგი ალფრედ მიუსეს შეგონებით გაისარჯა მწერალი: „რომ დანერო შენი ცხოვრების ისტორია, ჯერ უნდა განვლო ის ცხოვრება“.

ნათქვამია: „ადამიანი მიყვება დროს და არა დრო — ადამიანს“ გივი სიხარულიძეც მიჰყვება დროს და ქმნის ერთმანეთზე უკეთეს თხზულებებს. უპირველესად ხელში აიღონ მისი „რჩეული“ იმათ, ვინც თავზარდამცემად გვიჩინებენ: კომპიუტერი და ინტერნეტი შეცვლისო წიგნებს, ამიტომ სოფლად და ქალაქად ბიბლიოთეკები უნდა დაიხუროსო. კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნებს, ამაში გივი სიხარულიძის „რჩეულიც“ დაგიჭერს მხარს.

„რჩეულში“ მრავალი საინტერესო ნოველაა, რომელთა ანალიზი შორს წაგვიყვანს. დავასახელებთ რამდენიმეს: „ის+მე“, „გარდაცვლილი ხე“, „სევდიანი სკამი“, „ანვეტილი სიცოცხლე“, „ცირუნია“, „სიცოცხლის ანარეკლი“, „ჩემი ოცნების ხე“, „დაობლებული სინაგოგა“, „მწერალი“, „შეურაცხყოფილი ნაძვის ხე“. „სვეტიცხოველი“, „სიცოცხლის მოწმობა“, „აკადემ-აკადემიკოსი“, „რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა“, „ყვებულბულიანი“ და ა.შ.

თემურ შავლაძის ენით რომ ვთქვათ, გივი სიხარულიძის ნოველებში ძირითადად ქალაქისა და მის მკვიდრთა ფსიქოლოგიური სახეხასიათებია წარმოჩენილი... ეს ნოველები კონკრეტულად ადამიანისა და ზოგადად, ადამიანობის სიყვარულს შთაგონებენ მკითხველს — თანაღმობის, თანადგომის, თავდადებისა და უანგარობის, იმედგაცრუების შემთხვევაშიც კი.

აქვე მინდა „რჩეულიდან“ გამოვიხმო გივი სიხარულიძის ანდაზური გამონათქვამი, მრავალთაგან მხოლოდ თითო-ოროლა: „მე ლამაზი ზღაპარი მირჩენინია მწარე სიმართლეს“, „როგორც ყველაფერში არის არაფერი, ისე არაფერში არის ყველაფერი“, „მხოლოდ მოგონებით ცხოვრება სიკვდილის ტოლფასია“, „ჩვენი ცხოვრება ჰგავს შეწყვეტილ კინოსერიალს“ და ა.შ.

**ტიტე მოსია**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი





# შელოცვაში გაბრუნდე

## კონიხე შელოცვა

„ამგური, ამშური, უგურე, უშურე, თოლი დო ნახარი, უბადო თოლით, უბადო შურით კოს ინაჯინასნი თის ღორონთი დო მარდიანი ქიგიაშქვი შხიფი დო ლახვარი.“

## ჭკიჭკიტიაშ შელოცვა

„პუხუ მეურც ფუხუთიშა, სუმი დღასი ორზოლიშა პუხუს პიჯი აკრი აბრეშუმის ძაფითაო ფუი გვალო, გვალო, გვალო.“

## ღაჯიშ შელოცვა

„აპუსაო, ყვაპუსაო, ყვაპუ ძიძელაისაო, ძელისაო, ძვალისაო, ძვალი სანახელისაო. ღორონთი მომხვარე ჩემი ღორისაო.“

## ფერონდა, ფერონდა

ფერონდა, ფერონდა, ზღვაფა ფერონდა, ნითელი ხუცესი, ქვიშა ნერგული, ქუა თერგული დღას მის გაუგონებუ ნაჭვი გაძნელებული?

## მეჭეჭი მეჭეჭანს

მეჭეჭი მეჭეჭანს  
სუმ კარდილა ლუმ პარტყალანს,  
მუჭო ათე ჯიმუქ  
ათე სტაქან წყარს დონდღულას,  
ათაში გააქარი  
ათე ადამიანიში (სახელი) მეჭეჭი.

## ბორბოლიაშ შელოცვა

ბორბოლია ბორბო სქუა,  
ჩხორო დიდა ჩხორო სქუა,  
მეტი ვაფალა, მეტი ვასქუა,  
ფუი, თაში გააქარი.

## ღინაფილიშ გორუაშ შელოცვა

ძია ვძირი, ტატა ვძირი,  
ღორონთ თინა ქუმოძირი.

## სურსუშ შელოცვა

სურსუ მეურსუ მეხოხუნს,  
ქრისტე განდიდებული,  
დღას მის გუგონებუ  
სურსუ გაძინარებული,  
ფუი, თეში გაანქარი,  
ეს გეყარი და შხვას შეყარი.



**ოკეანის გრან-პრის მფლობელი, სენაკის ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „კუჩხიბედიერი“, საქართველოს ფესტივალზე საქართველოს წარმომადგენლად**

ლეგენდარული სუბიშვილების ოქროს თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის სენაკის ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „კუჩხიბედიერი“ უფრო მეტია,

ვიღეში პირველი გრან-პრის მფლობელი ანსამბლი სპეციალური მიწვევით, თურქეთის ქალაქ რიზეში დაგეგმილ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე გამგზავრა.



8 აგვისტოს ჩათვლით, 6 დღის განმავლობაში, ანსამბლის ქორეოგრაფი ზვიად გვასალია რიზეს გუბერნატორს, ქალაქების - ფინდიკლის, ხოფის, მურგულისა და ართვინის მერებს შეხვდა. ამ შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, გერმანიის ქორეოგრაფიული ჯგუფების დელეგაციები. ფესტივალ-კონკურსზე საქართველოს ანსამბლი „კუჩხიბედიერი“ წარმოადგენდა.

მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგა მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე ანსამბლი „კუ-

ვიდრე მხოლოდ ქორეოგრაფიული ანსამბლი. ის ერთგვარ ბრენდად იქცა, რომელიც ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენს უნიკალურ ფოლკლორს.

მართლაც რომ განსაკუთრებულია ერთ გუნდად, ერთ დიდ ოჯახად შეკრული ანსამბლი, რომელიც თითქოს ერთი სუნთქვით ცხოვრობს და ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. ეს რეპეტიციებზეც იგრძნობა და, რა თქმა უნდა, კონცერტზეც. ანსამბლს სათავეში უდგას თავისი ხედვითა და ხელწერით გამორჩეული ხელოვანი - ზვიად გვასალია.

მიმდინარე წლის 2 აგვისტოს, სენაკის სინამდ-







ჩხიბედინერი“. ჟიურის გადანყვეტილებით, ანსამბლს მიენიჭა რიზეს მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის ჩემპიონის ტიტული და გადაეცა ფესტივალ-კონკურსის გრან-პრი. ეს ამ ანსამბლის მეორე გრან-პრია ქობულეთში გამართული საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის შემდეგ.

გამგებლის მისაღებში გახლდით, როცა დიპლომებით, თასებითა და მედლებით ხელდამშვენებული, ეროვნულ სამოსში ჩაცმული „კუჩხიბედინერები“ ქორეოგრაფთან და მშობლებთან ერთად გამგებელთან შესახვედრად მოვიდნენ. ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერების შემდეგ, დამქანცველი დღის ბოლოს, ბატონმა გორჩამ მისაღები ოთახის კარები შემოაღო და საოცარი სითბოთი, სიყვარულით მიესალმა იქ მყოფთ.

- „როგორი საპატიო და ლამაზი სტუმრები მყოლია. მოდით, ბავშვებო, მოდით“ - და ამ სიტყვებით სტუმრებს სამუშაო კაბინეტში შეუძღვა. ნორჩი მოცეკვავეებისათვის ეს იყო დაუვინყარი წუთები - თანადგომა, მხარდაჭერა და გულწრფელი სიყვარული გამგებლის მხრიდან.

ამ გამარჯვებასთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გორჩა დგებუაძე, გამგებლის მოადგილე ნატო ფულარიასთან და განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსთან, ვასილ ბესელიასთან ერთად შეხვდა ანსამბლის ხელმძღვანელს, ქორეოგრაფ ზვიად გვასალიას, ნორჩ მოცეკვავეებსა და მათ მშობლებს.

ზვიად გვასალიამ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ გორჩა დგებუაძეს, მადლობა გადაუხადა ანსამბლის პოპულარიზაციისათვის განეული თანადგომისა და მხარდაჭერისათვის და რიზეს მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალის სამახსოვრო დიპლომი გადასცა.

გამგებელმა ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებები მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა ანსამბლ „კუჩხიბედინერს“.

მიმდინარე წლის 5 ივლისს, ქობულეთში გამართულ სიმღერისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე, საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლე-

ბი და, ასევე, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების შემოქმედებითი ჯგუფები ლებულოდნენ მონაწილეობას. მრავალფეროვანი რეპერტუარით წარდგა ჟიურისა და მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „კუჩხიბედინერი“. ჟიურის გადანყვეტილებით, რომელსაც სათავეში საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რეზო ჭანიშვილი ედგა, ფესტივალ-კონკურსის გრან-პრი და რიზეს საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის საგზური გადაეცა ანსამბლ „კუჩხიბედინერს“.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 29 ივნისს ქალაქ ფოთის თვითმმართველობისა და ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია „ლაზიკა“-ს ორგანიზებით ქალაქ ფოთში ჩატარდა



კოლხურ-ლაზური ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის ფესტივალ-კონკურსი „ლაზიკა - 2016“. კონკურს-ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეობდა საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფრიდონ სულაბერიძე. „კუჩხიბედინერს“, ფესტივალ-კონკურსზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, წილად ხვდა ლეგენდარული ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელობის დიპლომები და მიენიჭა ლაურეატის ნოდება. ასევე, 2ივლისს ურეკში გამართულ ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალ-კონკურსზე, რომლის წარმომადგენლობითი ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ ქართული ნაციონალური ბალეტის - „სუხიშვილები“ დირექტორი ნინო სუხიშვილი, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კუჩხიბედინერს“ წილად ხვდა მეორე ადგილი.

წინ დიდი გზაა... გამარჯვებებითა და წარმატებებით აღსავსე. ანსამბლი „კუჩხიბედინერი“ განვლილი გზით (ის ნაყოფიერი და შემოქმედებითი მოღვაწეობის 17 წელს ითვლის), დღევანდელითა და მომავლით ამართლებს ღირსეული პიროვნების, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელსა და საუკეთესოთა შორის საუკეთესო, რჩეულთა შორის რჩეული ანსამბლის ტიტულს.

თეა გრიგოლია



# ივეტა ნითაზვილის გუნის მონაწერი ფრაზები



## დოსერე დო უკმელას

დოსერე დო უკმელას  
თოლეფ აკუნკურუაფ,  
ნკურემ ქუდოცონენ დო  
გური აკუნუხუაფ.  
გოთანე დო ოჭმარეს  
კვარჩხი აკუსხუნუაფ,  
მაჭირხოლეფ ოხვამეს  
ართათ აკუფურნუაფ.  
ქერეთ ონდლეს ცაშ იშო  
ონჭაფეშა უნჭუაფ,  
ჩხანას გუბარჩხალუ დო  
ნდოლოს ცუნდი  
ქუდურღვაფ.

სერ უკმელას ელათხოზ  
ოჭმარე მუშ გოთანას,  
ონდლე დღასი განირლოლ,  
ჩხანა ცას გაბარჩხალანს.  
გაკვარკვანტნა ართიანს,  
მელე-მოლე, ძგა დო ძგას,  
ლეტა-ლეტა, ტყა დო ტყას,  
გვალა-გვალას, ღალ  
დო ღალს.  
ღორონთ, მუში ხიოლი  
სი არძაშა ქიმიჩამ,  
არძას ნოდვე საშველი,  
ვარა თეში, ვარა – თაშ.  
ჩქიმი სო რე, სო იტყობ,

ნამუ შარას გილეგაგ,  
სო ელარე, სო იშოლ,  
ნამ ოლაგეს გილენგარს.  
ქუმოჭარე ჩქიმ ხიოლი,  
ჩქიმ საშველიშ ჭირნაფა.  
ბედინერ დღას ციორი,  
ჩხანამ აკოძირაფა.  
დოსერე დო უკმელას  
სერმა ქენუსერუაფ.  
გოთანასი ოჭმარე  
გურმა ქუხუტოლუაფ.  
ღორონთ, სკანი ჭყოლოფათ  
უმკულაღუს მუკულაღ.

## ფსუაჭითა ფარფალია

ფსუაჭითა ფარფალია,  
ელაღოხელ ღაჟურია,  
მიკაფურნანდ კამელიაშ  
მინე ართ პეულს, მინე მა-  
ჟიას.  
სი სარალო ფარფალია,  
მის რე გალაჟაფუქია?  
ართ დღაშ რინა გაფუნია  
ღორონთშე ჭყოლოფირია,  
გური ჯგირო ქოუჩია,  
ღლა მაღას ისერუნია.

ჩე პეულეფე კამელიას  
ტანსე გაცხანტალუნია,  
ჩილამურეფე ძიაცალო  
მინ ასკუ, მინ უცენსია.  
არძა ართი ვარენია,  
შხვა რენია კამელია,  
უფერუანს ფარფალია,  
მინე ართ ღვანკის, მინე  
მაჟიას,  
ჩილამურეფს უსქირუანს  
უჯოროფეთ სო ულია,

ართიანიშ ვორეთია,  
ღურელით დო თელითია,  
უჯოროფეთ თე ქიანა  
ჩქიმო რე ლიებურია.  
გეგკასერუ ფარფალია  
ვეგეგონე რაგადია!  
მუ ფქიმიწა, მიორსია,  
ვამნარღენქ მუთუნსია,  
ჯოროფათე ართ დღაშ რინა,  
თაში ხოლო ღირუნია!



სამარგალოს

ჰოუ, ნანა,  
თოლი სკვამი  
ცირეფ, ოსარსალაია,  
ენგურ ჭკუაგუნოლასირ,  
ართო ოხვარჩალაია,  
ოდა კისერგუნობეჭილ,  
ჭველეფ ონარნალაია,

აშო, გურმა ქომხუტოლეთ  
„ჩქიმი ჭიჭე მახარია“.  
„ასე ჩონგუ ქოფთქუათი“  
ღვინიმ ეფშა მარანსია,  
არძო ჭუა დიდვამანკუ  
ართათ შორი გვალასია.  
სოურს შარა,

ჩქიმ მიჩქედ დო,  
არქა, შხვაში ვარდასია,  
ჰოუ, ნანა,  
სკანდა მოულ,  
ხეს სი გოილუანქია,  
სამარგალო სკან ძირაფაქ,  
ირო ქუმაჭარასია.

ბჟა ელურსუ - მორწყეკი

ბჟა ელურსუ — მორწყეკი,  
ვამორწყეკი — ჭოროფანს,  
ვაგარჩქილე ორე, ხი,  
აკორლასუ ქოროფაქ.  
მუთუნ ზუკოლქ ვაგომირთ,  
მისარონ კარს ხვენებაქ,  
შარა შკაშა აკომირთ,

ირდიხაშე მერეხანს,  
ხაჯალურით ქუდმოკირ,  
ვეცად ნტებას ჩხოროშა,  
ვადმაქანცედ, მუქ მორჩქინ,  
მუ ქოფედუ ქოროფა.  
ვარე საშველ სოვრეთინ,  
გურ ილენსი ჩხოროფათ,

ვადამრსხენქი ვორწყეკი  
ჭვემა რე დო გოლოფანს.  
ბჟა ელურსუნ — გორწყეკი,  
ვაგორწყეკინ — ჭოროფანს,  
ვამარჩქილე ორე, ხი,  
აკობლასი ქოროფათ.

მინდორ ცუნდელ

მინდორ ცუნდელ,  
გვალა თილ,  
ცა ნაჭვემა,  
ნირს ფაჩილ,  
შარა ულათ  
შულადირ,  
დაჩხირ ყებურს  
დორძამილ,  
ყანნი ღვინით  
შუმაფილ,  
გურ ყოროფათ  
წყუნაფილ,  
ტყვია თოფის  
მორხინილ,  
ჭყორ ნაფურნა  
ვაჭოფილ,  
ცურუ ჯას ჟი  
ჭირნაფილ,  
ბუძგურიეფ ჯას

ცუმილ,  
ხინჯი ბოგას  
გოდგუმილ,  
ომ ნაულა,  
ომშა ნწყვილ,  
აკნარღვეფი  
აკონწყილ,  
ოფულარი  
ვაფულირ,  
სიტყვაშ რთაფა  
კვარკვანტი,  
იშო-აშო  
კვარკვანნი,  
ნახარებუ  
ხიოლი,  
გოთანაში  
ციორი,  
მუმულეფიმ  
ყიონი,

დადულეფიმ  
ფიორი,  
ომშა ჰამო  
რაგადი,  
ომშა ჭვახეთ  
კვარნახი,  
ავრე ათორჩქინაფა,  
ევრე ლირთაფ-რცქინაფა,  
დდა-სერიში ჭუებულ  
ვაინუე, მუს გიფულ,  
ტყურათ გოპუნქ  
გუმართუქ,  
მა ვავორექ  
დუმართუ.  
შარა ბოგას აკორე  
ნირს გოთანას ანაფაფ  
მუთუნ კოჩის ვაჭოფე  
ჭყორ ფურიენლ აკაშა.



# სრულიად საქართველოს ეცნობს

## გიზო სართანია მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გიზო სართანია, სოციალური დაცვის განყოფილების უფროს გოგი რევიასთან ერთად, ბაშის, კორცხელისა და ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო. ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში 1 430 მეტრიანი, რკინა-ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

კორცხელის ცენტრში დასრულებულია მოსაცდელის მონეობა, ხოლო საკვარცხელიოს უბანში ემზარ კვარაცხელიას სახელობის მინი-სტადიონის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურ ფაზაშია სოციალური სახლის მშენებლობა. ეკატერინე

პაჭკორიას ოჯახს, მუნიციპალიტეტის გამგეობა საცხოვრებელ სახლს უშენებს. გიზო სართანიას განმარტებით, „მუნიციპალიტეტის გამგეობა, ყველა იმ პროექტს განახორციელებს, რაც მოსახლეობამ სოფლის კრებებზე პრიორიტეტად დაასახელა.“



## გამგეობამ სოციალურად დაუცველი ბავშვების დასვენება უზრუნველყო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გიზო სართანიამ დღეს სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები და დედები დასასვენებლად დაბა სურამში გააცილა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დევნილი და ადგილობრივი სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვების და დედების დაბა სურამში დასვენება ფინანსურად უზრუნველყო. 15 ბავშვი და 13 მშობელი 10 დღის განმავლობაში დაბა სურამში დაისვენებენ, მათ შორის არიან მოზრდები, რომლებიც აფხაზეთის ოკუ-

პირებული ტერიტორიიდან საგანგებოდ ამ პროგრამაში მონაწილეობის მისღებად ჩამოვიდნენ. პროგრამის მონაწილე ბავშვებს ექიმის დასკვნის საფუძველზე აღენიშნებოდათ სასუნთქი გზების დაავადებები და მათი რეაბილიტაცია გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა.

პროექტის იდეის ავტორია ასოციაცია „იმედი“ დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის, რომლის მიზანი პირობითი საზღვრისპირა სოფლებში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების ჯანმრთელობის რეაბილიტაციაა. ბავშვებს დასვენების დღეებში მეთვალყურეობას გაუწევს პედიატრი.

პროექტის განხორციელებაში თანამონაწილეობა მიიღეს:

შპს. „მეტრო“ რომელმაც, ბავშვების უსაფრთხო და კომფორტული მგზვრობა უზრუნველყო.

საქველმოქმედო ფონდმა „ავერსი“-მ პრიველადი მოხმარებისმედიკამენტებით მოამარაგა დამსვენებლები.





ი/მ „მ.ქარდავა“ -მ თაფლითა და ფიჭით მოამარაგა ბანაკი.

შპს „ლეკო“ პურფუნთუშეულით გაუმასპინძლდა დამსვენებლებს.

როგორც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გიზო სართანიამ აღნიშნა „ამ პროექტის დაფინანს-

სებაზე დიდხანს არ გვიფიქრია,გადაწყვეტილება ისე მივიღეთ. ეს დასვენება ამ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლება აუცილებლად სჭირდებოდათ. მათვის ეს პროექტი მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის გაუმჯობესების კუთხით.მათვის შეიქმნა საუკეთესო პირობები დასვენებისთვის და გაჯანსაღებისთვის.“

**„ჩვენი ყველა მოქმედება ხალხზე და მათ ინტერესებზე იყო მორგებული“**

**სანაბარიუმო შეხვედრა გამგებლის რანგში**



„მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ ერთად განუული მუშაობისთვის და წარმატებები გისურვოთ. მე არ დამიკლია მონდომება კარგი საქმეები მეკეთებინა და მჯერა რომ, ამის მიღწევა შევძელი. არასდროს დამიყვია ჩემი მოსახლეობა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, ვცდილობდი ყველას საჭიროება გულთან ახლოს მიმეტანა და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობა, სამაგალითოა ქვეყნის მასშტაბით და ეს ყველა ჩვენთაგანის ერთობლივი მუშაობის შედეგია. ბოლო 4 წლის განმავლობაში 1200 -ზე მეტი პროექტი განვახორციელეთ. წარმატებები გვაქვს ყველა სფეროში და ვახორციელებთ უმნიშვნელოვანეს პროექტებს. ჩვენი ყველა მოქმედება ხალხზე და მათ ინტერესებზე იყო მორგებული. მჯერა რომ ეს წარმატებები გაგრძელდე-

ბა და მეც უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ ჩემი მუნიციპალიტეტისთვის“ - აღნიშნა შეხვედრაზე ედიშერ თოლორაიამ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ ბოლო შეხვედრა გამგებლის ამპლუაში დღეს ჩაატარა. ედიშერ თოლორაიამ გამგებლის მოვალეობის შესრულება ოფიციალურად მის პირველ მოადგილეს გიზო სართანიას დააკისრა. გამგებლის განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დღეს დააკმაყოფილა.

უკვე ყოფილი გამგებელი გამგეობის თანამშრომლებს, ა.ა. ი. პ-ების წარმომადგენლებს და გამგებლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში შეხვდა, შეაჯამა გასული 4 წლიანი თანამშრომლობა, მადლობა გადაუხადა ურთიერთობისთვის და თანამშრომლებს დაემშვიდობა. ყოფილმა გამგებელმა ისაუბრა მიღწევებზე, რომელსაც მუნიციპალიტეტმა 4 წლის მანძილზე მიაღწია. გამგეობის თითოეულმა თანამშრომელმა მადლობა გადაუხადა უკვე ყოფილ გამგებელს განუული შრომისთვის, ერთგულებისთვის და მეგობრობისთვის.თანამშრომლებმა დასახულ მიზნებში გამარჯვება და მომავალ საქმიანობაში წარმატებები და ახალ შრომით გზაზე ბედნიერი მომავალი უსურვეს.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობას დღეიდან გიზო სართანია შეასრულებს.

**გიზო სართანიამ მარტოხელა ქალბატონი საავადმყოფოდან გამოიყვანა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გიზო სართანიამ სო-



ციალური დაცვის განყოფილების უფროსმა გოგი რევიამ,სოციალურმა მუშაკებმა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ომის ვეტერანი, მარტოხელა ქალბატონი, რეგინე კიკვაძე, ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალიდან დღეს გამოიყვანეს. ქალბატონი რეგინე მარტოხელაა და მომვლელს საჭიროებს. მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურმა კომისიამ კი მისი მომვლელის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილება მიიღო. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის რეფერალური საავადმყოფოს ექიმებმა რეგინე კიკვაძეს 5 დღე უსასყიდლოდ უმკურნალეს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო კი ქალბატონს 500 ლარით დაეხმარება.



# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ხელისუფლების სამსახური

## ხელისუფლების სამსახური

### 10 სექტემბერი

### ზუგდიდობა 2016

### ბიუჯეტი

#### შიდა ეზოების რეაბილიტაცია

- ✓ ქალაქ ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის (№16, №18, №19, №22, №23, №24) შიდა ეზოს კეთილმინცობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.
- ✓ ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები დასრულებულია.

- ✓ მიმდინარეობს შიდა ეზოების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმინცობა. დაიდგა 20 პარკის სკამი და დამონტაჟდა 24 განათების ბოძი.
- ✓ სარეაბილიტაციო სამუშაოები სექტემბრის თვეში დასრულდება.
- ✓ ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნულ სამუშაოებს 371 758 ლარი მოხმარდება.





უკრაინელმა სპონსორებმა სკ „ზუგდიდი“ ოფიციალურად ჩაიბარეს

- ✓ უკრაინელმა სპონსორებმა ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი“ ოფიციალურად ჩაიბარეს
- ✓ საფეხბურთო კლუბის წარმომდგენლები, ქალაქ ზუგდიდის მერი და საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“ საპატიო პრეზიდენტი, ირაკლი გოგოხია, მერის მოადგილე კობა ჯიქია, საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“ ვიცე-პრეზიდენტი სვიატოსლავ სიროტა, საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტის მრჩეველი, ლევან გულორდავა, ქალაქ ზუგდიდის

მერიაში შეიკრიბნენ, სადაც კონტრაქტს ხელი ოფიციალურად მოენწერა.

- ✓ კონტრაქტის მიხედვით, უკრაინელი სპონსორები ს.კ. „ზუგდიდი“-ს დაფინანსების, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებასა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ვალდებულებას იღებენ. ს.კ. „ზუგდიდი“-ს 51 % პაკეტის მფლობელი უკრაინელი სპონსორები, კლუბის 49 % პაკეტის მფლობელი კი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაა.



მერიის პროექტი საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეებისათვის

- ✓ ქალაქ ზუგდიდის მერიის განათლების განყოფილების პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სკოლების 70 წარჩინებული მოსწავლე ურეკში, საზაფხულო ბანაკში დაისვენებს. ბანაკში მოსწავლეები სხვადასხვა შემეცნებით პროგრამებსა და გასართობ ღონისძიებებში ჩაერთობიან.
- ✓ მერიის პროექტში ქალაქ ზუგდიდის 12-ვე საჯარო სკოლა მონაწილეობს.
- ✓ მოსწავლეების პირველი ნაკადი ქალაქ ზუგ-

დიდის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, სკოლების წარმომადგენლებმა და მშობლებმა დღეს გააცილეს. მოსწავლეები ბანაკში 26 აგვისტომდე დარჩებიან, შემდეგ კი მათ მეორე ნაკადი ჩაანაცვლებს.

- ✓ ქალაქ ზუგდიდის მერია წარჩინებული მოსწავლეებისათვის მომავალშიც სხვადასხვა შემეცნებით პროექტებს განახორციელებს.



# გური ოტობაია

ჟურნალისტი, პოეტი, ჭარუ. 1975 წანას გაათუ ქართიმ სახენწეფო უნივერსიტეტი. ნანეფიმ მეძენას რდე ჟურნალ-გაზეთეფიმ რედაქტორი. გემამაშქვანს ირმარულ ჟურნალს „კირბისი“ (ოქროს საწმისი), ოთხტომიან ბელეტრისტული მატეიანემ „სუფევა“-შ ავტორი. თაშნეშე რე კინოსცენარისტი, რედაქტორი.



## პაპანწყვილი

— გამარჯობა, პაპა, სიდო!  
— გომორძგუა, ცახუჯის!  
პაპა დო მუშე დიაკონე  
ქეთოხენა ცაცხუმე ჯინს,  
ცალე ხუც აბგა გილაბუნა  
დო ხურჯინი — ცალე ხუჯის,  
ჟირიხოლო ქუნჭირანს  
შარვალიმე მახუჭის.  
ართო გილეკვენელუნა,  
ართო გილემენძელუნა.

დიაკონი ტვიტვილი რე  
პაპა — გვალო პუტორილი,  
სამარგალოშე ქოთომეფი  
ძვალამო რე ხუტორილი,  
ასე თინას გეძინელი  
ბულეკეფი გუდორილი,  
უკულე ხოლო — შინკაცალე  
შხურშხინაფილე ჩიხუეფე,  
ჯღანჯღილი რე ლიკვეფით  
ხასლა ელნაჯიხუეფე.

ცახუჯიში ფაჭაჭია,  
ჭითა რე დო ხუჭუჭია,  
სიდოშე დუცუ ეჩე წანა რე  
ოსისმარუ ქურჩუჩია.  
ოჯალეშიშე შინა სო რე  
ონარტელი აფნა თხოლო,  
გიტოხენა ცაცხუმე ჯინს დო  
ირიპოტუ ჟირიხოლო.  
გოკონე ცხვინმა მიოპონი,  
პაპა დო მუშე დიაკონი.

## სიდო

— სი მუ გიჭირს  
ახალგაზრდას,  
თოლით გორგუ, ბირგულით,  
ბრელე გოგურე, ვედიჩალუქ  
კორშე საქმე ნირგულით.  
გითოლალირე ოკო რდე დო  
ლაგვაცალო გილეშე,  
დიხას უჩვიგინანდე დო  
მეფურინდე ჟილეშე.  
ნათქუელი დიგურე:  
ჭკვერი თუდონ სქიბუ რე.

მირონიში სუმალას  
ცირას მიკუნკიტონე,  
შხვადო შვი დო შხვადო ჯვაბი,  
სუდეს მილეტიტონე.  
ორტყაფუშა მეიკირდას  
ორქო-ვარჩხილე პუტალერი,  
ვენაყუნა, ეკაყუნი,  
ქანა წურნი დუდალერი.  
მეცემელე მიქ ინჭუნი,  
მიდგაქ ღორონთე მიკინჭუნი.

პირჯვარიშე წერუას  
მინშა ხვამა ქუტურე,  
სოთინე ქისა ქოძირ და  
გური გეგმუფუტურე.  
ქარწყექ, ოსურს გიმიჩანს  
ცვანიკვილი ქომონჯი,  
ბული ირო ვეტყაბარე,  
ირო ვარე ჩხომონჯი.  
ერჩქინდუქუ ართიშა,  
ღვინე ისხუნე ღართიშა!  
დადიაშა ქუმურთუმ

არქანჯელო ლამბერტის,  
მიჩქუ მუსხი რხვილ ულუ  
ნამე ღია დო ნამე ფერდის.  
რომშა ოყუნაფალო  
ბოშეფს კორობუნსია,  
ქუყუნუნანდე ჩქიმს, მარა  
გვალო ბორო პუნსია, —  
სიდო ქოლურე ღვირთაფის,  
მელე ზლოურე — ღირთაფის.

— ნიმოკინა გოკონდა  
პაპას ქუმუხიციონე,  
მეტე მუ დიგოგურუა,  
ჭიჭე გეითიკვიციონე.

## ქაზიშ ქოიუნჯუს

მუს ოცილე ჭყონი მეხი ცალას,  
ჭყონი ჟინცას ქიმკიქუნანს  
მალას,  
ჭყონქი ოკო ჭყონიცალო  
ფალას,  
თაშე ვარენო, ჩქიმი ლაზი, ჯიმა?!

მაფშალია მუს ოცილე ქირეფს,  
მაფშალია გილმაქარგუნს  
ირეფს,  
ორულუნანს ატამეფიშე ცირეფს,  
თაშე ვარენო, ჩქიმი ლაზი, ჯიმა?!

საქორთუო მუს ოცილე თურქის,  
ვარა რუსის უნნალუნსო  
ფურკის,  
გოლურჯოლსუ ხარხუნტია  
ხურხის,  
ღურა უჯგუ, ჩქიმი ლაზი, ჯიმა!



# „ნიმო ჩახვიაშვილის გაემთხვეობა“

ნიკანოზი

ნაოქრობა ვაზლუხიძე.  
ნიმოს შაქანა შეიქმნათ  
„წინააღმდეგობის“  
ნადავითაძე.



## ახალი წიგნი

„ნიმოს ჩახვიაშვილის გამთმცემლობა“ – მიმართულია უდიდესი უბრალო წიგნი წაბრუნებულ სასულიერო „ბაქა წაბრუნებულ მთავარსაგან“, ბიბლიის ყდა შინააბრუნებულ თარგმანსა და ჩუქრი უბრალო დიდებულ-ლომის, ნიუბრუნების წაბრუნებულ თარგმანსა და მიმართული. თარგმნი წიგნის მიმართული, 604 გვერდი უბრალო ისტორიის უბრალო, ზღაბრული, ბიბლიის მიმართული სიუჟეტრად იმართება და და სიუჟეტრად იმართება და მიმართული გამთმცემლობა. მიმართული წაბრუნებულ, მიმართული თუ ლიტერატურა, წაბრუნებულ თუ თარგმანის წიგნი... ეს ყველაფერი მიმართული ახალი და თარგმნი-მართული წაბრუნებულ თარგმნი, ბაბ, ჩუქრის ბაბრით, უბრალო მიმართული, მიმართული მართული წაბრუნებულ წაბრუნებულ, ისტორიის გამთმცემლობისა და გამთმცემლობის თარგმნი-მართული.

წიგნი დასრულებული და შინააბრუნებულ სარტულუბრულია, თარგმნი ეს იმას აბრუნებულ წაბრუნებულ, ბიბლიის საბრუნებულ მიმართული იმართება, ბაბრით დასრულბრული, ბაბ – თითოეული თარგმნი მიმართული გამთმცემლობა უბრალო თარგმნი გამთმცემლობა, ბაბრით უბრალო ბაბრული. წიგნი ახალი-ბაბრული მიმართული-ბაბრული უბრალო სასულიერო-ბაბრული.

მაშ ასე, „ბაბრული-ბაბრული მართული-ბაბრული“ იმართება თარგმნი-ბაბრული მიმართული-ბაბრული გამთმცემლობა-ბაბრული ბაბრული.





# „ნირო რესპიზვიდის გამომცემლობა“

წიგნების  
გეჭღვა

შურნალ  
გაზეთების  
გეჭღვა

აწყობა,  
დიზაინი,  
დაბეჭდვები



ქ. თბილისი ლესელიძის 27, II სართული  
599 74 68 10